საქართველო-რუსეთის საზღვარზე აფხაზი მონადირე დააკავეს A2

მსოფლიოს უდიდესი კომპანიები A3

მიზანშეწონილია თუ არა, შექმნილ ვითარებაში, პარლამენტის წინაშე პრეზიდენტის ანგარიშით გამოსვლა? A3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

კვირა, 22 სექტემბერი, 2002 წელი. №112

ფასი 50 თეთრი

## ამერიკის ხელისუფალნი კვლავ ადასტურებენ საქართველოს მხარდაჭერას

გიორგი ასანიშვილი

საქართველოს პრეზიდენტის პრეს-სამსახურის ხელმძღვანელმა კახა იმნაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე კომენტარი გაუკეთა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის - ჯორჯ ბუშისა და სენატორ ჯონ მაკკეინის მიერ, ედუარდ შევარდნაძის სახელზე 19 და 20 სექტემბერს, გამოგზავნილ წერილებს.

იმნაძე კმაყოფილებით ახდენს აშშ-ს ლიდერის წერილიდან ციტირებას იმის შესახებ, რომ **"საქართველოს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ ამერიკის მხარდაჭერა კვლავაც მტკიცეა".** საქართველოსთვის იმედის მომცემი გარემოება უნდა იყოს ისიც, რომ ჯორჯ ბუში პანკისის ხეობისა და აფხაზეთის პრობლემების მოგვარებას უკვე ერთ სიბრტყეში განიხილავს და გამოთქვამს მზადყოფნას, საქართველოსა და რუსეთის მთავრობების თანამშრომლობის პარალელურად, ვაშინგტონიც აქტიურად ჩაებას მათ გადაწყვეტაში.

**"მიმდინარე წლის მაისში პრეზიდენტმა პუტინმა და მე საქვეყნოდ განვაცხადეთ, რომ მჭიდროდ ვითანამშრომლებთ საქართველოსთან ანტიტერორისტულ საქმიანობაში,**

გაგრძელება A3 გვერდზე

## შევარდნაძე და საქართველო - გზაჯვარედინთან

სახელმწიფო აღმშენებლობის პროცესში დაშვებული შეცდომებისა და არასწორი ნაბიჯების მიუხედავად, პოლიტიკურმა საზოგადოებამ შევარდნაძეს მაინც გამოუცხადა ნდობა და ვიდრე საგარეო საფრთხე იარსებებს, ის, ფაქტობრივად, "ხელშეუხებლობის" გარანტიებით აღჭურვა. მეტიც: ოპოზიციამ თავად დაიწყო ზრუნვა პრეზიდენტის იმიჯზე და შესთავაზა მას, პარლამენტის წინაშე ყოველწლიური ანგარიშით გამოსვლა გარკვეული ხნით გადადოს.

ერთი სიტყვით, ქვეყანაზე თავდატეხილი აგრესიის საფრთხემ პრეზიდენტ შევარდნაძეს პოზიციები გაუმაგრა. ამიტომ, სულაც არ არის გამორიცხული, რომ პრეზიდენტის ბანაკი შეეცდება, ბოძებული "ხელშეუხებლობით" ისარგებლოს და საგარეო საფრთხის საფარველქვეშ ის პრობლემები მოაგვაროს, რომელთა გადაწყვეტაც, სახელმწიფო მანქანის ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობის პირობებში, გარკვეულ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული (მაგალითად, "იტერასთვის" "თბილგაზის" გადაცემა).

მაგრამ, მეორე მხრივ, შევარდნაძეს მშვენივრად ესმის, რომ ამჟამად კარდინალურად განსხვავებული სურათია: მოახლოვდა კავკასიური კვანძის გახსნის დრო და დიდია ალბათობა, ათწლიანი გაურკვევლობა, ბოლოს და ბოლოს, დასრულდეს და დროის მოკლე მონაკვეთში, ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს - მართლა არ დაიჩოქებს საქართველო, როგორც ამას თანამოქალაქეებს ჰპირდება პრეზიდენტი, თუ

გაგრძელება A3 გვერდზე

## ბიძინა გეგიძე: ჩვენ ბევრად გავასწარით საქართველოს სინამდვილეში არსებულ სტერეოტიპებს



„ბორჯღალოსნები" უტევენ.

საქინფორმი

**საქართველოს ნაკრებს რაგბიში, თბილისში, 13 ოქტომბერს, მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირში გადამწყვეტი თამაში აქვს რუსეთის ნაკრებთან... გამარჯვების შემთხვევაში ქართველი "ბორჯღალოსნები" მსოფლიო თასის ფინალურ თამაშებში მიიღებენ მონაწილეობას. და ეს ყველაფერი შეიძლება არ მოხდეს... საქართველოს ნაკრების წევრები, რომლებიც საფრანგეთის კლუბებში თამაშობენ, თბილისში შეიძლება ვერ ჩამოვიდნენ საჭირო თანხის არარსებობის გამო.**

**ამ ყველაფრის შესახებ ჩვენი გაზეთი უკვე წერდა. საკითხის სიმწვავის გამო, შექმნილ პრობლემებზე უფრო კონკრეტულად სასაუბროდ ჩვენი გაზეთი საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტს ბიძინა გეგიძეს მასპინძლობს.**

### რამდენს იმეტებს სახელმწიფო გუნდისთვის, რომელიც დიდი გამარჯვებებით გვახარებს...

საქართველოს წარმატებული თუ წარუმატებელი სპორტის სახეობებისთვის მთელ წელიწადში გამოყოფილია 1 800 000 ლარი. ხოლო რაგბისთვის - 100 000 ლარი. მიმაჩნია, რომ არანაირი სერიოზული მიმართულებების არჩევა, რაიმე სერიოზულზე ფიქრიც კი არ შეიძლება ამ თანხით. ერთ სპორტსმენზეც რომ იყოს გამოყოფილი, ისიც არასაკმარისია, არათუ გუნდურ სახეობებზე.

გაგრძელება A4 გვერდზე

## ვახტანგ რჩეულიშვილს, შეიძლება, რუსეთთან მეგობრობის საშუალება აღარ მისცენ

თამარ ხორბალაძე

რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების გამწვავებამ ქართული პოლიტიკური პარტიების საერთაშორისო ასპარეზზე გააქტიურება გამოიწვია. სხვადასხვა ორიენტაციის პარტიები შეიარაღებული კონფლიქტის საფრთხის შემცირებას სხვადასხვა ფრონტებზე ცდილობენ.

ყველაზე ადრე ამოქმედდა პრორუსული ოპოზიცია ვახტანგ რჩეულიშვილის მეთაურობით, რომელმაც მოსკოვი უკვე მოიარა, სამმხრივი შეხვედრის და სამმხრივი უსაფრთხოების იდეა რუსეთში უკვე შეათანხმა და მოსკოვში საქართველოს პარლამენტის დელეგაციის ვიზიტის იდეა გააჟღერა.

ამ ვიზიტის ზუსტი თარიღისა და დელეგაციის შემადგენლობის შესახებ საქართველოს პარლამენტმა საბოლოო გადაწყვეტილება პარლამენტის ბიუროზე უნდა მიიღოს. დღეს უკვე ცნობილია, რომ დელეგაციაში იქნებიან საგარეო ურთიერთობათა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტების თავმჯდომარეები.

სამაგიეროდ, დღეისთვის არსებული ინფორმაციით, დელეგაციის ხელმძღვანელის რანგში, შესაძლოა, ვერ ვიხილოთ ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი, რაც, ალბათ, მის დიდ აღშფოთებას გამოიწვევს. ვახტანგ რჩეულიშვილის დელეგაციის მიღმა დატოვებით საქართველოს პარლამენტი რუსეთს, ფაქტობრივად, დაუდასტურებს, რომ რჩეულიშვილი არ არის ის ფიგურა, რომელიც სერიოზულ დასაყრდენად შეიძლება გამოდგეს. ამით საქართველო ხაზს გაუსვამს იმასაც, რომ სამმხრივი შეხვედრა, რომელიც შესაძლოა, მართლაც გაიმართოს, სულაც არ გახლავთ რჩეულიშვილის ინიციატივის შედეგი.

რუსეთი მოიარა ასლან აბაშიძემაც, რომელმაც თავისი პოზიცია პუტინის განცხადებამდე ჩამოაყალიბა და რომელსაც თავისი ადგილი დღევანდელ საქართველოში და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში უკვე ნაპოვნი აქვს.

გააქტიურდა, თავის მხრივ, ოპოზიციის ის ნაწილიც, რომელიც საქართველოში აშშ-ს დასაყრდენად დამკვიდრებას ცდილობს.

ამ დღეებში აშშ-ში ვიზიტად იმყოფება "ნაციონალისტების" ლიდერი მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც სახელმწიფო დეპარტამენტში და კონგრესში უნდა გაემართა შეხვედრები. არსებული ინფორმაციით, ეს ვიზიტი არ შეიძლება ყველაზე წარმატებულად ჩაითვალოს, რადგან დღეს ამერიკაში ქართულ ოპოზიციასთან საკეკლუცოდ ნამდვილად არ "სცხელათ".

"24 საათის" ინფორმაციით, აშშ-ში გამგზავრებას გეგმავს "ახლების" ლიდერი დავით გამყრელიძეც, რომელიც ამ დღეებში, "დემოკრატ" გია ბარამიძესა და "მოქალაქე" არმაზ ახვლედიანთან ერთად, გერმანიაში არჩევნებს აკვირდება.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობების საკითხებთან დაკავშირებით, ევროპული ტრიბუნის გამოყენებას აპირებს "დემოკრატების" ლიდერი ზურაბ ჟვანია, რომელიც სტრასბურგში გუშინ გაემგზავრა. იგი სამშაბათს გააკეთებს განცხადებას პანკისის ხეობაში მიმდინარე ოპერაციის შესახებ. სტრასბურგში უნდა შედგეს აფხაზეთში ადამიანთა უფლებების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებული მოსმენაც, სადაც საქართველო კიდევ ერთხელ გამოთქვამს რუსეთის სამშვიდობო ძალების მიმართ პრეტენზიებს.

## უფლებაშელახულ ჯარისკაცს ემუქრებიან

ხათუნა ჯანგირაშვილი

გორელმა ალექსანდრე ეტიაშვილმა "თავისუფლების ინსტიტუტს" მიმართა და საკუთარი უფლებების დაცვაში დახმარება სთხოვა. როგორც გაირკვა, ის გორის სამხედრო კომისარიატმა ჯარში უკანონოდ გაიწვია.

აღმოჩნდა, რომ ეტიაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ საექიმო კომისიამ ორი დასკვნა გასცა. ერთის მიხედვით, ეტიაშვილი სამხედრო სამსახურისთვის გამოუსადეგარია, მეორე საექიმო დასკვნით კი იგი აბსოლუტურად ჯანმრთელია და მისი ფიზიკური მონაცემები სამხედრო მოსამსახურისთვის საჭირო ყველა ნორმას აკმაყოფილებს.

ერთსა და იმავე ადამიანზე გაცემული ორი ურთიერთგამომრიცხავი დასკვნის მიუხედავად, ეტიაშვილი ჯარში მაინც გაიწვიეს. ცოტა ხანში მას ქრონიკულმა დაავადებამ შეახსენა თავი, რის გამოც ჯარისკაცისთვის სერიოზული მკურნალობა გახდა საჭირო. ალექსანდრე ეტიაშვილი დღემდე სამხედრო ნაწილშია და იქ მკურნალობს.

მისი კანონით გათვალისწინებული უფლებები სხვა მხრივაც არის დარღვეული. სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ კანონის მიხედვით, ეტიაშვილს ჯარში გაწვევის გადავადება ეკუთვნოდა, რადგან იგი ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველკურსელია.

ამის მიუხედავად, სამხედრო კომისარიატში კანონის დარღვევას არ აღიარებენ. გორის სამხედრო კომისარი პაატა ჭელიძე ირწმუნება, რომ ალექსანდრე ეტიაშვილი სამხედრო სამსახურში კანონის სრული დაცვით გაიწვიეს. მეტიც, ჭელიძე აცხადებს, რომ თუ ეტიაშვილი სამხედრო ნაწილს თვითნებურად დატოვებს, მას დეზერტირად გამოაცხადებენ და საქმეს პროკურატურას გადასცემენ.

## გაათავისუფლეს კიდევ ხუთი დაკავებული ჩეჩენი

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით აქტიურ ფაზაში შესული ანტიტერორისტული და ანტიკრიმინალური ოპერაციის შედეგი - ქართველ ძალოვანთა მიერ მოპოვებული ნადავლი - ნელ-ნელა მცირდება. რამდენიმე დღის წინ პანკისის ხეობის სოფელ ხალაწანში აყვანილ ჩეჩენთა 12-კაციანი ჯგუფიდან კანონდამცველებმა გუშინ კიდევ 5 დაკავებული გაათავისუფლეს.

დაკავებულთა ვინაობის იდენტიფიკაციის მიზნით შექმნილმა სპეციალურმა საფილტრაციო ჯგუფმა დაადგინა, რომ გუშინ გათავისუფლებული 5 ჩეჩენი, წინა 5-ის მსგავსად, ნამდვილად ლტოლვილია და დანაშაულში მათი მონაწილეობის შესახებ მასალები არ მოიპოვება.

**"დაკავებულთა გათავისუფლება მოხდა პროცესუალური ნორმების დაცვით. მათი პიროვნებები შე-**

გაგრძელება A2 გვერდზე

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 27 | ☼ |
| ქუთაისი | 28 | ☼ |
| ბათუმი | 27 | ☼ |
| სოხუმი | 27 | ☼ |
| ფოთი | 27 | ☼ |
| თელავი | 26 | ☼ |
| ზუგდიდი | 28 | ☼ |
| გორი | 24 | ☼ |
| ახმეტა | 26 | ☼ |
| ქიათურა | 27 | ☼ |
| გაგრა | 26 | ☼ |
| სამტრედია | 28 | ☼ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1800 |
| ევრო | 2.1460 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3879 |
| რუბლი | 0.0689 |

## საპარლამენტო არჩევნები გერმანიაში - შეინარჩუნებს თუ არა წითელ-მწვანე კოალიცია უმრავლესობას?

დავით აფრასიძე

*ჰამბურგის მშვიდობისა და უსაფრთხოების კვლევის ინსტიტუტი*

*სპეციალურად "24 საათისათვის"*

*დღეს, 22 სექტემბერს გერმანიაში საყოველთაო საპარლამენტო არჩევნები გაიმართება. გერმანია საპარლამენტო ტიპის რესპუბლიკაა, ანუ ქვეყნის ფაქტობრივი მეთაური მთავრობის ხელმძღვანელია, რომელსაც აქ ფედერალურ კანცლერს უწოდებენ. სახელმწიფოს მეთაურს – პრეზიდენტს - გერმანიაში მხოლოდ ნომინალური ფუნქცია აკისრია. არც კანცლერს და არც პრეზიდენტს პირდაპირი არჩევნების გზით არ ირჩევენ. კანცლერის არჩევა პარლამენტის (ბუნდესტაგის) პრეროგატივაა. კანცლერი, როგორც წესი, საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერი ხდება.*

1998 წლის არჩევნებისაგან განსხვავებით, როცა გერმანიას კოლის 16-წლიანი მმართველობა მოყირჭებული ჰქონდა და ცვლილებას ითხოვდა, ახლანდელი არჩევნები ძალიან დაძაბულად მიმდინარეობს და გამარჯვებულის გამოცნობა თითქმის შეუძლებელია. არჩევნების თემატიკა გერმანიის საზოგადოებისათვის აქტუალურ სხვადასხვა საკითხს მოიცავს, რომელთაგან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უმუშევრობისა და ეკონომიკური განვითარებს თემას, იმიგრაციის საკითხებსა და ერაყში შესაძლო ინტერვენციას.

უმუშევრობა და ეკონომიკური სტაგნაცია ოპოზიციის მთავარი კოზირებია. 1998 წელს გამარჯვებით აღტაცებულმა ახლანდელმა კანცლერმა - გერჰარდ შრიოდერმა პირობა დადო, რომ თუ 2002 წელს უმუშევართა რიცხვი 3,5 მილიონს გადააჭარბებდა, მაშინ მისი მთავრობა ხელახალი არჩევის ღირსი აღარ იქნებოდა. ოფიციალური მონაცემებით, გერმანიაში უმუშევართა რიცხვმა დღეს უკვე 4 მილიონს გადააჭარბა და მდგომარეობის გაუმჯობესების იმედი ჯერჯერობით ნაკლებადაა. გარდა ამისა, გერმანიის ეკონომიკური მაჩვენებლები ერთ-ერთი ყველაზე დაბალია დასავლეთ ევროპაში. კანცლერი დასაქმების სფეროში, როგორც თავად ამბობდა, "დინჯი ხელის" პოლიტიკას ატარებდა. ბოლო ხანს კი, ოპოზიციის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, მას "ხელი აშკარად აუკანკალდა".

გაგრძელება A3 გვერდზე



*მთავარი კონკურენტები - შრიოდერი და შტოიბერი.*

## „გლეხოვიჩი" გამომძიებელთა წინააღმდეგ

ქუთაისის მეორე საპყრობილეში რამდენიმე დღის წინ დაწყებული შიმშილობა პატიმრებმა კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტის ზაალ მახარობლიძის, მეტსახელად "გლეხოვიჩის", გათავისუფლებისთანავე შეწყვიტეს.

პოლიციელებისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ბრალდებით დაკავებული მახარობლიძე ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დარბაზიდან გაათავისუფლა და პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა დაუწესა.

მანამდე კი 331 პატიმარი ციხეში "გლეხოვიჩთან" ერთად შიმშილობდა და პოლიციას კანონის დარღვევაში ადანაშაულებდა. ციხეში "ბუნტი" ჩაცხრა, მაგრამ ახლა ზაალ მახარობლიძე და მისი უფლებების დამცველი ლალი აფციაური სამართალდამცველების მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას აპირებენ. **"ძიების დასრულების შემდეგ პროკურატურაში აუცილებლად დავაყენებ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხს, თანამდებობის გადამეტების ბრალდებით. ექსპერტიზა ნევროპათოლოგმა გიორგი დანელიამ ჩაატარა, რომელსაც მსგავსი პროცედურის ჩატარების უფლება არ ჰქონდა",** - განაცხადა ლალი აფციაურმა.

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ინტერვიუ

B2 კულტურა B3 განცხადებები B4 სხვადასხვა

სამართალი

## გაათავისუფლეს კიდევ ხუთი დაკავებული ჩეჩენი

პირველი გვერდიდან

**ვისწავლეთ და დავადგინეთ, რომ ისინი არანაირ დანაშაულში არ იმხილებიან, რის გამოც გავათავისუფლეთ,"** – განაცხადა "24 საათთან" საუბრისას შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსმა პაატა გომელაურმა. მისივე თქმით, სამართალდამცველები ამჟამად მუშაობენ დარჩენილი 2 ჩეჩნის კრიმინალური ბიოგრაფიის შესწავლაზე. გავრცელებული ინფორმაციით, ისინი ძმები ახმადოვების დაჯგუფების წევრები არიან. ჩვენთან საუბრისას პაატა გომელაურმა გავრცელებული ინფორმაცია არც დაადასტურა და არც უარყო: **"მიმდინარეობს ოპერატიული სამუშაოები,"** – ასეთი იყო მისი კომენტარი.

## ჩეჩნეთში შსს გაიხსნება

გუშინ რუსეთის შს მინისტრმა ბორის გრიზლოვმა ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ნოემბრის ბოლოს ჩეჩნეთში შეიქმნება შინაგან საქმეთა სამინისტრო. მინისტრის განცხადებით, მართალია, სამინისტროს ხელმძღვანელობა მოსკოვიდან გაგზავნილი კადრებით დაკომპლექტდება, მაგრამ ქვედა ფენა ადგილობრივი მოსახლეობით შეივსება. გრიზლოვის თქმით, ჩეჩნეთის ადგილობრივ მოსახლეობაში დღეისთვის პოლიციის 6 ათასი თანამშრომელია. თუმცა, ეს ძველი პოლიციური კადრია და ახლადშექმნილი სამინისტრო ახალი თანამშრომლებით უნდა დაკომპლექტდეს. გრიზლოვის განცხადებით, რუსეთის უშიშროების საბჭოს სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც მომზადებას გადის 10 სპეციალური დანიშნულების რაზმი, რომელიც ნოემბრის ბოლოს ჩეჩნეთში გახსნილ შსს-ს დაექვემდებარება.

## გავლენიანმა სიცილიელმა მაფიოზმა „კოზა ნოსტრა" გაყიდა

სიცილიის მაფიის ერთ-ერთი ლიდერი ნინო ჟუფრე სამართალდამცველებმა გადაიბირეს. ის მართლმსაჯულებას თანამშრომლობაზე დათანხმდა. ამის შესახებ გუშინ სკანდალური განცხადება გააკეთეს იტალიის სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებმა. კანონდამცველები აცხადებენ, რომ ჟუფრეს გადაბირებით იტალიის ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ახალი ეტაპი დაიწყო.

ჟუფრე იტალიის მაფიის ერთ-ერთი დაჯგუფების - "ოთხეულთა ბანდის" შემქმნელია.

იგი სიცილიის სამხედრო პოლიციამ რამდენიმე თვის წინ პალერმოში დააპატიმრა. მიუხედავად იმისა, რომ სიცილიის მაფიის ერთ-ერთი ბოსი შეიარაღებული იყო, დაკავებისას მას პოლიციისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია და, ფაქტობრივად, კანონდამცველებს თავისით ჩაბარდა.

"მანუცას" (ასეთი მეტსახელით მოიხსენიებდნენ ჟუფრეს მეგობარი მაფიოზები) იტალიის სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. იგი გაასამართლეს 19 წლის წინათ ჩადენილი მკვლელობისთვის – მის მიერ აფეთქებულმა ყუმბარამ იტალიელი მოსამართლის სიცოცხლე შეიწირა. ჟუფრეს პროკურატურამ იტალიის მაფიის თავკაცობისა და ორგანიზებულ დანაშაულში აქტიური მონაწილეობის ბრალდებაც წაუყენა.

დაპატიმრებულმა მაფიოზმა გამოძიებას აღიარებითი ჩვენებები მისცა. სწორედ მისი ჩვენებების საფუძველზე გაიხსნა "კოზა ნოსტრას" დანაშაულებრივი საქმიანობის აქამდე გასაიდუმლოებული დეტალები. ასევე ცნობილი გახდა მაფიის ზოგიერთი ლიდერისა და იტალიის პოპულარული პოლიტიკური ფიგურების და ხელისუფლების წევრების საიდუმლო კავშირების თაობაზეც. სწორედ ჟუფრეს მიერ დასახელებულ სახლებში აიყვანეს სიცილიის მაფიის 38 სერიოზული წევრი.

ჟუფრე სიცილიის მაფიის ნათლიის - ბერნარდო პროვენცანოს მარჯვენა ხელად იწოდებოდა. პროვენცანო, რომელიც ამჟამად პროსტატის კიბოთია დაავადებული, სიცილიის მაფიის ლეგენდარული ბოსია. იტალიელი სამართალდამცველები მას 39 წელია, ეძებენ, მაგრამ ვერა და ვერ მოიხელთეს. თუმცა, პოლიციამ მოახერხა პროვენცანოს უახლოესი გარემოცვიდან რამდენიმე მაფიოზის დაკავება და გადაბირება, მათ შორის იყვნენ დიდი მაფიოზის ძმისშვილები, ადვოკატი და ჟუფრე. მათი დაკავების ოპერაცია 4 წელი მზადდებოდა. კანონდამცველები აცხადებენ, რომ "კოზა ნოსტრას" თავკაცი ახლა სიცილიაში, თავის ერთ-ერთ ფეშენებელურ სახლში იმალება, მაგრამ მისი დაპატიმრება შეუძლებელია.

იტალიის პოლიციის მონაცემებით, ამჟამად იტალიის ციხეებში იმყოფება სიცილიის მაფიის 300 ბოსი.

## საფრანგეთში კრიმინალები გავლენის სფეროებს ვერ ინაწილებენ

პარიზში გამართული შეტაკებისას ერთი ადამიანი გარდაიცვალა, სამი მძიმედ დაჭრილი კი საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებაში მოათავსეს.

პოლიციის ინფორმაციით, რუმინელმა კრიმინალებმა შეხვედრა ვერსალის სიახლოვეს მდებარე ფეშენებელურ სასტუმროში მოაწყვეს. საქმის გარჩევა ძალიან მალე შეიარაღებულ შეტაკებაში გადაიზარდა.

პოლიცია ვარაუდობს, რომ კრიმინალთა კონფლიქტი გავლენის სფეროებისა და ტერიტორიების გადანაწილებამ გამოიწვია. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ პარიზის პროსტიტუციისა და ნარკობიზნესის მაკონტროლებელი დაჯგუფებები.

პარიზის პოლიციამ დააკავა შეტაკების რამდენიმე მონაწილე, მაგრამ ვერ მოახერხა დაჯგუფების მეთაურთა დაპატიმრება.

საქმის გამოძიებაში ჩაებნენ რუმინეთის პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც საფრანგეთში პარიზის პოლიციის მიწვევით ჩავიდნენ.

## საქართველო-რუსეთის საზღვარზე აფხაზი მონადირე დააკავეს

გუშინ ჩერქეზეთის საგუშაგოს მესაზღვრეებმა რუსეთ-საქართველოს საზღვარზე, აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, დააკავეს სოხუმელი მამაკაცი. დაკავებულის განცხადებით, ის მონადირეა და ნადირობისას დაკარგულ ცხენს ეძებდა.

ცხენის მაძებარი მონადირე რუსეთის რეგიონული სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება. სამმართველოს პრეს-სამსახურის ინფორმაციით, დაკავებულის ვინაობა და მისი ჩვენებების სისწორე 48 საათის განმავლობაში დაზუსტდება, რის შემდეგაც მისი დაპატიმრება-გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებენ.

დაეჭვების საფუძველს რუს მესაზღვრეებს ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკის სასამართლოში მიმდინარე სამი აფხაზის სასამართლო პროცესი აძლევს. განსასაჯელებმა რამდენიმე თვის წინ რუსეთ-საქართველოს საზღვარი უკანონოდ გადაკვეთეს და დაკავებისას მესაზღვრეებს ანალოგიური მოტივი დაუსახელეს. განაცხადეს, რომ არიან მონადირეები და ეძებენ დაკარგულ ცხენებს. პირადი ჩხრეკის ჩატარებისას კი დაკავებულებს აღმოაჩნდათ "კალაშნიკოვის" სისტემის ავტომატი, სამხედრო კარაბინი და სნაიპერის შაშხანა თავის მოწყობილობებით. დაკავებულ აფხაზებს იარაღის უკანონო ტარებისთვის ასამართლებენ.

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი არ ადასტურებს რუსული მედიით გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს საქართველოს ტერიტორიაზე, ბარისახოში ჩეჩენ ბოევიკთა ათკაციანი შეიარაღებული ჯგუფი შენიშნა.

სასაზღვრო ძალების შტაბის უფროსი კორნელი სალია ამ ინფორმაციას მორიგ პროვოკაციას უწოდებს. "ასე მეც შემიძლია ვთქვა, რომ იტუმ-კალეში 500 ჩეჩენი ბოევიკია, მართალი ვიქნები?" - აღნიშნა მან "ინტერ-პრესთან" საუბრისას.

რუსული საინფორმაციო საშუალებების ცნობით კი, ბარისახოში დაფიქსირებული 10 კაციანი ჯგუფი შეიარაღებულია ავტომატებით და ყუმბარმტყორცნებით. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პანკისის ხეობაში მიმდინარე მოვლენების გასაცნობად საქართველოში უკრაინელი დეპუტატები ჩამოვლენ.

უკრაინის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები შუამავლის როლს კისრულობენ, რათა პანკისის ხეობაში რუსეთსა და საქართველოს შორის არ დაუშვან შეიარაღებული კონფლიქტი.

„რადგან უკრაინა, მოლდოვა და საქართველო ერთი კოალიციის წარმომადგენლები არიან, ჩვენ ვალდებულნი ვართ, მშვიდობა შევინარჩუნოთ", - აცხადებს უკრაინის პარლამენტის უცხოეთის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იგორ ოზბაში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თავისი ფონდიდან 10 ათასი ლარი გამოუყო AES თელასის, მოკლული ფინანსური მენეჯერის, ნიკა ლომინაძის ოჯახს. ამის შესახებ კავკას-პრესს სახელმწიფო კანცელარიაში აცნობეს.

ფინანსური მენეჯერის მკვლელობასთან დაკავშირებით ამერიკულმა კორპორაციამ AES-მა, ლომინაძის მვლელობის გამო, ჩამოაყალიბა მისი ოჯახის დახმარების ფონდი, თუმცა, როგორც კავკას-პრესს AES - თელასიდან აცნობეს, ფონდში არანაირი შემოწირულობა ჯერ არ ყოფილა. თავად კორპორაცია აპირებს, სერიოზული თანხა შეიტანოს ფონდში, თუმცა, ამჟამად რაოდენობა დადგენილი არ არის. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ახალციხესთან ახლოს, ორფოლას პოლიგონზე გაიმართება საჩვენებელი წვრთნები სახელწოდებით "ორფოლა 2002". წვრთნებში მონაწილეობას მიიღებს თავდაცვის სამინისტროს 22-ე ბრიგადა. წვრთნებს დაესწრებიან საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ჯონი ფირცხალაიშვილი და თავდაცვის სამინიტისროს სხვა მაღალჩინოსანი პირები. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** დასავლეთის სამხედრო ანალიტიკოსების აზრით, რუსეთს პანკისის ხეობაში ჩეჩნებზე „ნადირობაში" წარმატების მცირე შანსი აქვს, სამაგიეროდ, არსებობს ვაშინგტონის „განაწყენების" დიდი რისკი. ასეთ მოსაზრებები, პანკისის ხეობასთან დაკავშირებით მიმდინარე მოვლენებზე „ფრანს-პრესმა" გაავრცელა.

უცხოელ დამკვირდებელთა თქმით, რამდენიმე კვირაში თოვლი ჩაკეტავს საქართველოს ტერიტორიის იმ ადგილებისკენ გადასასვლელებს, სადაც რუსეთის ბრალდებით, თავს ჩეჩენი მეამბოხეები აფარებენ.

ამერიკისა და კანადის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ვიქტორ კრემენიუკი აცხადებს, რომ რუსეთის პრეზიდენტი, ჩეჩნების წინააღმდეგ გაჩაღებული ომის შემდეგ, პანკისზე დარტყმით ერაყის ირგვლივ ატეხილი ხმაურისგან ყურადღების გადატანას ცდილობს.

მისივე აზრით, რუსეთი, უკვე სამი წელია, უშედეგოდ აწარმოებს სეპარატისტების წინააღმდეგ ომს, რასაც კრემლი ანტიტერორისტულ ოპერაციას უწოდებს.

რუსეთის სამხედრო კვლევების ინსტიტუტის წარმომადგენელი დიმიტრი ევსტაფიევი რუსეთის ხელისუფლებას ურჩევს, პანკისის ხეობაში ანტიტერორისტული ოპერაცია ოქტომბრის შუა რიცხვებისთვის, ანუ თოვლის მოსვლამდე, დაიწყოს და დაასრულოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი აზრით, ოპერაციაში მონაწილეობას ვერ მიიღებს ვერც არტილერია და ვერც ჯავშანტექნიკა, ხოლო ქვეითთა მხარდაჭერა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ვერტმფრენებით.

რუსი ნაციონალისტი პოლიტიკოსები და მაღალჩინოსნები შეშფოთებულნი არიან, რომ პუტინმა წინააღმდეგობა არ გაუწია მაისში ამერიკელი ინსტრუქტორების საქართველოში ჩამოსვლას. ამის გამო რუს სამხედრო ანალიტიკოსებს ეჭვი ეპარებათ ანტიტერორისტული ოპერაციის წარმატებაში. მათი აზრით, საქართველოს ამერიკის მძლავრი მხარდაჭერა აქვს სტრატეგიული ნავთობსადენის - ბაქო-თბილის-ჯეიჰანის გამო, რომელიც გვერდს უვლის რუსეთსა და ირანს.

„ფრანს-პრესის" ინფორმაციით, ნავთობსადენზე სამუშაოები უკვე დაიწყო და ამდენად, ვაშინგტონი უარყოფითად შეხვდება რუსეთის ყველა იმ მოქმედებას, რომელიც რეგიონში დესტაბილიზაციას გამოიწვევს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**სოხუმი**. "მშვიდი, მაგრამ არასტაბილური" - ასე შეაფასეს ჭუბურხინჯის ოთხმხრივი შეხვედრის მონაწილეებმა უსაფრთხოების ზონაში არსებული სიტუაცია.

ბოლო შეხვედრაზე მხარეებმა გაცვალეს მოსაზრებები კოდორის ხეობის ზედა ნაწილის ერთობლივ პატრულირებასთან დაკავშირებით.

როგორც კავკას-პრესს გალის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა რუსლან ქიშმარიამ განუცხადა, კოდორის ხეობის პატრულირება ქართული მხარის გამო არ შედგა. მისივე თქმით, შეხვედრაზე ასევე განიხილეს ინოფრმაცია რუსი სამშვიდობოების მიერ კოდორის ხეობის სოფელ ომარიშარას მძიმედ ავადმყოფი მკვიდრის სოხუმში ევაკუირების შესახებ. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**ვლადიკავკაზი.** შაბათს, დილით მთებიდან მომწყდარმა მყინვარის ნაწილმა მთლიანად დამარხა ჩრდილოეთ ოსეთის სოფელი ქვემო კარმადონი. სოფელთან ერთად, მყინვარის დაცურებით გამოწვეულმა მეწყერმა დაფარა რამდენიმე პატარა დასახლება და ტურისტული ბანაკი. ყინულის, თოვლისა და ქვების ორმეტრიანი საფარის ქვეშ აღმოჩნდა გზის მოზრდილი მონაკვეთი, რაც მაშველებს კატასტროფის ადგილთან მიახლოებას ურთულებს. მაშველები ცდილობენ, დატბორვას გადაარჩინონ სოფელი გიზელი, რომელიც მეწყერის ჩამოწოლის შედეგად ადიდებული მდინარის ნაპირზეა გაშენებული. დაღუპულია, სულ მცირე, 30 ადამიანი, რომლებიც მეწყერის ქვეშ მოყოლილ თხუთმეტამდე სახლში იმყოფებოდნენ. უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება კიდევ 110-ზე მეტი მოსახლე. თავდაპირველად გაჩნდა ეჭვი რუსი კინორეჟისორის – სერგეი ბოდროვის 27-კაციანი გადამღები ჯგუფის დაღუპვის თაობაზეც, რომელიც ჩრდილოეთ ოსეთის მთიანეთში ახალ მხატვრულ ფილმს იღებდა. მოგვიანებით მაშველებს თავად ბოდროვი დაუკავშირდა და აცნობა, რომ მის ჯგუფს "ყველაფერი წესრიგში აქვს". უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიჩნეულია ორი მესაზღვრე და რამდენიმე მწყემსი, რომლებიც კატასტროფის ადგილთან ახლოს იმყოფებოდნენ. რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა მომხდარს "ფართომასშტაბიანი კატასტროფა" უწოდა და დაზარალებულებს ყოველნაირ დახმარებას შეჰპირდა.



# ამერიკის ხელისუფალნი კვლავ ადასტურებენ საქართველოს მხარდაჭერას

პირველი გვერდიდან

**ვიმუშავებთ, რათა მივაღწიოთ აფხაზეთში კონფლიქტის პოლიტიკურ გადაწყვეტას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვით. კმაყოფილი ვარ იმით, რომ ეს თანამშრომლობა დაიწყო. შეერთებული შტატები ილვწის, რათა ის უფრო ინტენსიური გახდეს",** - ნათქვამია ჯორჯ ბუშის წერილში.

კახა იმნაძის თქმით, აშშ-ს პრეზიდენტი განსაკუთრებით უსვამს ხაზს საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას და ამ მიზნით **"ენერგეტიკულ სექტორში გაბედული რეფორმების განხორციელების"** აუცილებლობას.

**"შეერთებული შტატები კვლავაც ერთგულია თავისი ვალდებულების - დახმარის საქართველოს ენერგეტიკულ უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. მოველით, ასევე, შაჰდენიზის გაზსადენის პროექტის შემუშავებას",** - აუწყებს ჯორჯ ბუში ედუარდ შევარდნაძეს.

ენერგეტიკული სექტორის რეფორმას და ჩვენი ქვეყნისთვის კიდევ ერთ მტკივნეულ საკითხს - კორუფციას - აშშ-ს ლიდერი მეტად ფართო პლანით უყურებს და მას 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირებს. ამის დასტურად კახა იმნაძემ კიდევ ერთი ციტატა მოჰყავს: **"შესაძლოა, ენერგეტიკული სექტორის რეფორმა თქვენი მთავრობის ძალისხმევის ცენტრალურ საკითხად იქცეს, რათა საქართველოს საბაზრო ეკონომიკა და დემოკრატიული ინსტიტუტები გაძლიერდნენ 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადების პერიოდში... საქართველოსთვის, რომელიც 2005 წლის არჩევნებს უახლოვდება, მზარდ მნიშვნელობას შეიძენს კორუფციის წინააღმდეგ მიმართული მტკიცე ქმედებები".**

საქართველოს ხელისუფლების მიმართ მტკიცე მხარდაჭერა გამოხატული აგრეთვე პრეზიდენტ შევარდნაძის სახელზე სენატორ ჯონ მაკკეინის მიერ გამოგზავნილ წერილშიც.

ჯონ მაკკეინი საუბრობს რუსეთის **"იმპერიალისტურ ზრახვებზე"** და მას თავშეკავებისკენ მოუწოდებს.

**"რუსეთს სერიოზული პრობლემები შეექმნება, თუ ის საქართველოს მიმართ აგრესიულ პოლიტიკას გააგრძელებს",** - მოსკოვის მიმართ ერთგვარი მუქარის ტონსაც კი შეიცავს ამერიკელი სენატორის წერილი.

# შევარდნაძე და საქართველო - გზაჯვარედინთან

პირველი გვერდიდან

საქართველო დარჩება რუსეთის დიქტატის ქვეშ მყოფ ნახევრადსუვერენულ სახელმწიფო წარმონაქმნად.

ძნელად წარმოსადგენია, რომ ასეთ გზაჯვარედინთან მდგომი ქვეყნის გამოცდილ ლიდერს რეალობის გრძნობამ ულალატოს და იაფასიანი ტრიუკების (საგარეო საფრთხის დროში გაწელვის მცდელობა) გამოყენებით მოინდომოს ოპოზიციისგან თავის დაცვა და შემოდგომა-ზამთრის პერიოდში თავისთვის "კომფორტის" შექმნა. მითუმეტეს, ცხადია, რომ, ადრე თუ გვიან, როდესაც გლობალური, გეოსტრატეგიული საკითხები "დალაგდება", შევარდნაძეს მაინც მოუწევს შიდა - სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და ა.შ. - პრობლემების ირგვლივ ოპოზიციასთან პირისპირ დარჩენა. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული საგარეო ფრონტზე მოახლოვებული გენერალური ბრძოლის შედეგზე: იმ შემთხვევაში, თუ თავის ჩრდილოელ მეზობელთან დაპირისპირებიდან საქართველო ღირსეულად გამოვა, ქართული პოლიტიკური საზოგადოება მთავარსარდალ (როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით) შევარდნაძეს ბევრ ცოდვას "ჩამოაწერს", ხოლო "დაჩოქების" შემთხვევაში...

თუმცა, ამაზე, ალბათ, სჯობს, წინასწარ არ ვისაუბროთ.

მიზანშეწონილია თუ არა, შექმნილ ვითარებაში, პარლამენტის წინაშე პრეზიდენტის ანგარიშით გამოსვლა? - ამ შეკითხვით მივმართეთ ქართველ პოლიტიკოსებს.



*დავით ბერძენიშვილი*



*კობა დავითაშვილი*



*ვახტანგ ხმალაძე*



*გიორგი თარგამაძე*

დავით ბერძენიშვილი "რესპუბლიკური პარტია"

**დანიშნულ დროსაც უნდა მივიდეს და როცა გამოიძახებენ, მაშინაც უნდა მივიდეს. მე არავითარ არსებით მნიშვნელობას არ ვანიჭებ იმას, შევარდნაძე პუტინთან შეხვედრამდე მივა პარლამენტში, თუ პუტინთან შეხვედრის შემდეგ. პარლამენტი არ წარმოადგენს იმ ორგანოს, რომელიც განსაზღვრავს შევარდნაძისადმი დამოკიდებულებას. პარლამენტის ცალკეული პოლიტიკური ჯგუფები ისედაც გამოხატავენ თავიანთ პოზიციას და, თუ შევარდნაძეს მწვავე საყვედურების მოსმენა პარლამენტის კედლებში მოუწევს, ამით საქმე მხოლოდ მოიგებს. პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლა არ უნდა იყოს შემოფარგლული მხოლოდ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებით. არავითარი განსაკუთრებული კოზირები შევარდნაძეს ამ საკითხში არა აქვს. ასე რომ, ვფიქრობ, "ახლების" ინიციატივა არ უნდა იყოს შევარდნაძისთვის მთლად მიუღებელი. საერთოდ კი, არ ვანიჭებ ამ საკითხს რაიმე განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ვერ დაგეთანხმებით, რომ რუსეთ-საქართველოს დაძაბული ურთიერთობების ფონზე შეიძლება დაიჩრდილოს შიდა პოლიტიკური თემები.**

კობა დავითაშვილი "ნაციონალური მოძრაობა"

**ვერ ვხედავ მიზეზებს, რატომ არ უნდა გამოცხადდეს პრეზიდენტი პარლამენტში. მას ეს გაზაფხულზე უნდა გაეკეთებინა. რა თემაზე იქნება პარლამენტის კედლებში საუბარი, ეს პრეზიდენტზე კი არა, ფრაქციებზეა დამოკიდებული. თუ ისინი არ დაუშვებენ შიდა პოლიტიკური პრობლემების დაჩრდილვას, ეს არ მოხდება.**

ვახტანგ ხმალაძე ფრაქცია "მრეწველები"

**ვფიქრობ, რუსეთთან დაძაბული ურთიერთობის ფონზე პრეზიდენტი პარლამენტში კიშინიოვის შემდეგ უნდა მივიდეს. რუსეთის აგრესიის მოსაგერიებლად ქვეყნის შიგნით საერთო აზრი, ერთიანობა უნდა არსებობდეს. ხოლო პრეზიდენტის პარლამენტში მისვლას მოჰყვება მკვეთრი დაპირისპირება, პირველ რიგში - მის საშინაო პოლიტიკასთან დაკავშირებით, რაც კარგად იქნება გამოყენებული რუსი პოლიტიკოსების მიერ ისეთი სურათის წარმოსაჩენად, რომ, აი, ქვეყანაში არის არასტაბილური მდგომარეობა, დაპირისპირებაა სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს შორის, მთავრობასა და პარლამენტს შორის... მსგავსი რამ მთლად კარგი არ იქნება პუტინთან შეხვედრის წინ. იქმნება უხერხული მდგომარეობა – როგორ უნდა მოიქცე? გაჩუმდე და არაფერი უთხრა პრეზიდენტს საშინაო პოლიტიკურ ქაოსზე? ასე არ ივარგებს. თუ იტყვი, სხვის წისქვილზე დაასხამ წყალს. ამიტომ უფრო უპრიანი იქნება, თუ პრეზიდენტი კიშინიოვში სტუმრობის შემდეგ ეწვევა პარლამენტს.**

გიორგი თარგამაძე, "აღორძინება"

**ვფიქრობ, უნდა მივიდეს სწორედ კიშინიოვში წასვლამდე. კიშინიოვში საკმაოდ სერიოზული საუბარი შედგება. პარლამენტი განსაზღვრავს ქვეყნის ძირითად საგარეო მიმართულებებს და პრეზიდენტმა მსგავსი მნიშვნელოვანი შეხვედრის წინ უნდა იცოდეს პარლამენტის პოზიცია. არ აწყენდა არც პარლამენტს და არც პრეზიდენტს, თუ კიშინიოვიდან ჩამოსვლის შემდეგაც მოინახულებს ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს. მძიმე საგარეო ვითარების ფონზე შიდა პოლიტიკური პრობლემები რომ დაიჩრდილება, ამაში ცუდი არაფერია. დღეს მთავარი საგარეო პოლიტიკაში წესრიგის დამყარებაა. შიდა პრობლემებზე კი საუბარი აუცილებლად იქნება, რადგან ბევრი პოლიტიკოსი, ჩემი ჩათვლით, იტყვის, რომ ის რაც საგარეო პოლიტიკაში გვემართება, შიდა არასტაბილურობის ბრალია და დაისმება კითხვა - რამდენად გვჭირდება ჩვენ ასეთი პრეზიდენტი. თავად პრეზიდენტს, რა თქმა უნდა, ხელს აძლევს, კიშინიოვში გამგზავრებამდე ესტუმროს პარლამენტს, რადგან, ძირითადად, საუბარი მაინც საგარეო პოლიტიკაზე და "მტრის ხატზე" იქნება, რითაც პრეზიდენტი ბევრ საყვედურს "აიცდენს".**

ეკონომიკა

# მსოფლიოს უდიდესი კომპანიები

თორნიკე შარაშენიძე

ავტორიტეტულმა გამოცემამ - "ფორბსმა", ტრადიციულად, საუკეთესო კომპანიათა სია გამოაქვეყნა. რეიტინგი რამდენიმე მონაცემის მიხედვით ფასდება, რომელთა შორისაც პრიორიტეტი საბაზრო ფასს (აქციათა საშუალო ფასი გამრავლებული მათ რაოდენობაზე), შემოსავალსა და ქონებას ენიჭება. სიაში ამერიკული კორპორაციები სჭარბობენ, რაც, ალბათ, გასაკვირი არ უნდა იყოს და კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ, უამრავი ფინანსური სკანდალის მიუხედავად, ამერიკული ბიზნესი კვლავაც წამყვანია მსოფლიოში.

ბევრისთვის რეიტინგმა, შესაძლოა, მრავალი კითხვა დაბადოს. მაგალითად, რატომ მოხვდა 25 საუკეთესო კომპანიის სიაში ავტოგიგანტებიდან "ტოიოტა" და რატომ ვერ მოხვდა იქ "ჯენერალ მოტორზი" (ეს უკანასკნელი 42-ეა და "ჰონდასაც" ჩამორჩება GM- ს შემდეგ კი "ნისანი" და "ფოლკსვაგენი" მოდიან), რომელსაც მსოფლიოს უდიდეს ავტომწარმოებლად იხსენიებენ. საქმე ისაა, რომ "ჯენერალ მოტორზი" პირველია გაყიდული ავტომანქანების რაოდენობით, მაგრამ სხვა მაჩვენებლებით (თუნდაც მოგებით) "ტოიოტას" მნიშვნელოვნად ჩამორჩება.

სხვა მხრივ, აღსანიშნავია, რომ 25 საუკეთესოს შორის ვერ მოხვდა "მაიკროსოფტი" (იგი 33-ეა). საუკეთესოთა შორის არ ფიგურირებენ, აგრეთვე, მედია-გიგანტები, თვით "ამერიკა ონლაინ თაიმ უორნერი" კი, რაც ასევე არ უნდა იყოს გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ მედია-კომპანიათა აქციები ბოლო დროს კატასტროფულად დაეცა და ეს სფერო ახლა ღრმა კრიზისს განიცდის. უფრო მეტიც, "ამერიკა ონლაინ თაიმ უორნერი" ასეულს მიღმაც კი დარჩა.

და ბოლოს, აღსანიშნავია, რომ ასეულში მოხვდა ერთი რუსული კომპანია. ეს გახლავთ "გაზპრომი," რომელიც 94-ე ადგილზეა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი ენერგოგიგანტების ელიტაში შევიდა. "გაზპრომს" მნიშვნელოვნად უსწრებენ ჩინური კომპანიები - "პეტროჩაინა ოილ ენდ გაზი" და "ჩაინა პეტრო ენდ ქემიკალზი," რომლებიც, შესაბამისად, 56-ე და 79-ე ადგილებზე არიან.

გთავაზობთ მსოფლიოს 25 საუკეთესო კომპანიის სიას:

| დასახელება | ბიზნეს-პროფილი | ქვეყანა | შემოსავალი (მლნ. დოლარი) | ქონება | საბაზრო ფასი |
|---|---|---|---|---|---|
| სიტიგრუპი | ფინანსები | აშშ | 122022 | 1051450 | 223040 |
| ჯენერალ ელექტრიკი | სხვადასხვა | აშშ | 126913 | 495023 | 309306 |
| ამერიკან ინტერნეშენალი | დაზღვევა | აშშ | 62510 | 492982 | 174986 |
| ექსონმობილი | ნავთობი და გაზი | აშშ | 187510 | 143174 | 270805 |
| ბენქ ოფ ამერიკა | საბანკო საქმე | აშშ | 53116 | 621764 | 117090 |
| ბრიტიშ პეტროლიუმი | ნავთობი და გაზი | ბრიტანეთი | 174218 | 141158 | 191054 |
| ეიჩ-ეს-ბი-სი | საბანკო საქმე | ბრიტანეთი | 47710 | 695147 | 116711 |
| როიალ დაჩ შელი | ნავთობი და გაზი | ჰოლანდია-ბრიტანეთი | 135211 | 11543 | 192256 |
| ფენი მეი | ფინანსები | აშშ | 50803 | 799791 | 79690 |
| აი-ენ-ჯი | ფინანსები | ჰოლანდია | 82983 | 620120 | 52609 |
| უოლ-მარტ სტორზი | საცალო ვაჭრობა | აშშ | 217799 | 83375 | 240639 |
| ტოიოტა მოტორი | ავტომობილები | იაპონია | 120731 | 145824 | 98342 |
| აი-ბი-ემი | კომპიუტერები | აშშ | 85866 | 88313 | 137721 |
| იუნაიტედ ბენქ ოფ სვითზერლენდ | საბანკო საქმე | შვეიცარია | 50842 | 745155 | 64728 |
| ბი-ენ-პი პარიბასი | საბანკო საქმე | საფრანგეთი | 54342 | 726422 | 49833 |
| ფილიპ მორისი | თამბაქო | აშშ | 72994 | 84968 | 122540 |
| ტოტალფაინაელფი | ნავთობი და გაზი | საფრანგეთი | 94243 | 77275 | 104063 |
| ალიანს უორლდუაიდი | დაზღვევა | გერმანია | 85867 | 796262 | 54163 |
| მორგან სტენლი | ფინანსები | აშშ | 43727 | 482628 | 50060 |
| ეს-ბი-სი კომუნიკეიშენზი | კავშირგაბმულობა | აშშ | 45908 | 96322 | 114534 |
| შევრონტექსაკო | ნავთობი და გაზი | აშშ | 97843 | 77572 | 93137 |
| ჯეი-პი მორგან ჩეიზი | ფინანსები | აშშ | 50429 | 693575 | 71546 |
| როიალ ბენქ ოფ სკოტლენდი | ფინანსები | ბრიტანეთი | 31871 | 534885 | 82847 |
| ფრედი მაკი | ფინანსები | აშშ | 36133 | 617340 | 45609 |
| მერკი | ფარმაცევტიკა | აშშ | 47716 | 44007 | 129538 |

## რუსეთის მთავრობა "გაზპრომს" აღარ ყიდის

რუსეთის ხელისუფლებას განზრახული აქვს, შეინარჩუნოს აქციების საკონტროლო პაკეტი "გაზპრომსა" და სააქციო საზოგადოება "რუსეთის ერთიან ელექტროსისტემაში", ვიდრე ამ საწარმოების რესტრუქტურიზაცია არ დასრულდება. აღნიშნულის თაობაზე განცხადება რუსეთის ვიცე-პრემიერმა და ფინანსთა მინისტრმა ალექსეი კუდრინმა გააკეთა. მისი თქმით, სახელმწიფო წილის შენარჩუნება აუცილებელია, რათა მთავრობა დაინტერესებული იყოს საწარმოების რესტრუქტურიზაციით. ვიცე-პრემიერმა არ გამორიცხა "გაზპრომისა" და "რუსეთის ერთიანი ელექტროსისტემის" პრივატიზებაც იმ შემთხვევაში, თუ ფედერალურ ბიუჯეტს სასრაფოდ დასჭირდება თანხები. თუმცა, კუდრინის აზრით, 2003 წლისათვის ამის საჭიროება არ იქნება.

ამჟამად, სახელმწიფო "გაზპრომში" აქციების 38,3 პროცენტს ფლობს, ხოლო "რუსეთის ერთიან ელექტროსისტემაში" – 51,62 პროცენტს.

## საქართველომ აზერბაიჯანის ენერგოვალის ნახევარი დაფარა

ელექტროენერგიის გაცვლის შესახებ შეთანხმების თანახმად, საქართველომ აზერბაიჯანს ზაფხულის პერიოდში 100 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია მიაწოდა. აღნიშნულ შეთანხმებას ხელი მიმდინარე წლის დასაწყისში მოეწერა და იგი ითვალისწინებს 1996 წელს აზერბაიჯანის მიერ საქართველოსთვის 156 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგიის მიწოდებით წარმოქმნილი ენერგოვალის გასტუმრებას.

2002 წლის 14 ივნისიდან მოყოლებული საქართველო ვალს ისტუმრებს და მეზობელ სახელმწიფოს, ყოველდღიურად, 1,2-1,3 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას აწვდის. ვალის დარჩენილ ნაწილს საქართველო 2003 წლის ზაფხულში დაფარავს.

## იაპონიაში ობლიგაციები აღარ იყიდება

პირველად იაპონიის ისტორიაში სახელმწიფო ათწლიანი ობლიგაციების ნაწილი გაუყიდავი დარჩა. მთავრობა აღნიშნული აქციებიდან 1,8 ტრილიონი იენის (14,8 მილიარდი აშშ დოლარი) შემოსავალს ელოდა, მაგრამ იაპონელებმა არ გამოამჟღავნეს დიდი ინტერესი ფასიანი ქაღალდებისადმი. ასე რომ, 165 მილიარდი იენის ობლიგაცია ისევ სახელმწიფოს დარჩა.

ანალიტიკოსების განცხადებით, ათწლიანი ობლიგაციების ამგვარი უიღბლო აუქციონი მიანიშნებს, რომ ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების გატარების დრო დადგა. მათი აზრით, როგორც კი ძუნიტირო კოიძუმის კაბინეტი შეიმუშავებს ბანკებისთვის ვალების დაბრუნების კონკრეტულ გეგმას, სახელმწიფო ობლიგაციებისადმი მოსახლეობის ნდობაც აღდგება. როგორც ცნობილია, იაპონიის მთავრობას იაპონური ბანკების ასეულობით მილიარდი დოლარის ვალი მართებს.

# საპარლამენტო არჩევნები გერმანიაში - შეინარჩუნებს თუ არა წითელ-მწვანე კოალიცია უმრავლესობას?

პირველი გვერდიდან

ქრისტიან-დემოკრატთა კანდიდატი შტოიბერი მთავრობის მიერ უმუშევრობის აღმოფხვრის ბოლოდროინდელ ნაჩქარევ ღონისძიებებს "დაგვიანებულსა და პოპულისტურს" უწოდებს. შტოიბერი უმუშევრობის პრობლემის მოგვარებას მთელ გერმანიას ჰპირდება. იგი ამბობს, რომ ამისათვის ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები და შესაბამისი საინვესტიციო გარემოს შექმნაა საჭირო. ეკონომიკური ზრდის მიღწევას შტოიბერი, უპირველეს ყოვლისა, საგადასახადო პოლიტიკაში ცვლილებების გზით აპირებს, სადაც საშუალო და წვრილ მეწარმეობას მეტი შეღავათი უნდა მიეცეს. შტოიბერის მოწინააღმდეგეები ამბობენ, რომ მისი დაპირებები არარეალისტურია. მმართველ პარტიასთან დაახლოებული წრეები გერმანიის ეკონომიკის ზრდის ტემპების შენელებას გლობალურ კრიზისს უკავშირებენ და უახლოს ხანებში ახალ აღმავლობას მოელიან.

ასეა თუ ისე, უმუშევრობის თემამ შრიოდერის კოალიციას მართლაც რომ წყალი შეუყენა. სექტემბრის დასაწყისამდე ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვები ოპოზიციის წარმატებასა და სოციალ-დემოკრატებისა და მწვანეთა პარტიის, ე.წ. "წითელ-მწვანე" მთავრობის დასასრულზე მიუთითებდნენ. წყალწაღებული მთავრობის გადარჩენა კი, საოცარია, მაგრამ, ისევ წყალმა შეძლო. აგვისტოში გერმანიას წყალდიდობის ტალღამ გადაუარა და მისგან გამოწვეულმა ზარალმა მრავალი მილიარდი ევრო შეადგინა. შრიოდერის მთავრობას საშუალება მიეცა, მოსახლეობისათვის საკუთარი ქმედუნარიანობა ეჩვენებინა. მთავრობის ახალი ინიციატივით, ერთი წლით დაგვიანდება 2003 წლისთვის დაგეგმილი საგადასახადო შეღავათები, რაც ფედერალურ მთავრობასა და მხარეებს კატასტროფის შედეგების ლიკვიდაციისათვის დამატებით 7 მილიარდ ევროს მისცემს. საგადასახადო შეღავათების გადადების იდეა არჩევნების წინ ძალიან მოხერხებული ნაბიჯი აღმოჩნდა. ამით შრიოდერმა ორი კურდღლის ერთად დაჭერა სცადა: პირველი, მოსახლეობას მთავრობის სწრაფი მოქმედების უნარი უჩვენა და მეორე, არ შემოიღო ახალი გადასახადი, ანუ მოსახლეობას ჯიბიდან, ფაქტობრივად, არაფერი ამოაცალა.

ასევე წინასაარჩევნო ეფექტის მქონე აღმოჩნდა მთავრობის მეორე ინიციატივა - აღმოსავლეთის მხარეებისათვის გათვალისწინებული, ე.წ. "სოლიდარობის პაქტი II"-ის დაჩქარებული განხორციელება. მისი განხორციელება 2005 წელს უნდა დაწყებულიყო. პროგრამა 2019 წლამდე ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხარეებისათვის 150 მილიარდი ევროს გამოყოფას ითვალისწინებდა. ამ პროცესის დაჩქარება კი პირდაპირ პასუხობს წყალდიდობისგან დაზარალებული აღმოსავლეთ გერმანიის ინფრასტრუქტურის, სახლებისა და საზოგადოებრივი დაწესებულებების აღდგენის საჭიროებას. აღმოსავლეთ გერმანიის ელექტორატის განწყობა კი, როგორც წინა არჩევნების შედეგებმა ცხადყო, გადამწყვეტი შეიძლება აღმოჩნდეს.

შრიოდერის მთავრობამ ასევე მოხერხებულად გამოიყენა ერაყის ირგვლივ ატეხილი საერთაშორისო აჟიოტაჟი. კანცლერმა, გერმანიის მოსახლეობაში ღრმად გამჯდარ პაციფიზმზე აპელირებით, ერაყის წინააღმდეგ ამერიკის სავარაუდო ინტერვენციაში გერმანიის მონაწილეობა კატეგორიულად გამორიცხა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ გაერო-ს უშიშროების საბჭო ამგვარ რეზოლუციას მიიღებს. ოპოზიციის დიდი ნაწილისათვის გერმანიის მთავრობის ამგვარი პოზიცია მიუღებელია. მათი აზრით, შრიოდერმა ამერიკა-გერმანიის მეგობრობა ძლიერ დააზარალა, ერაყზე საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლა შეასუსტა და ევროპელთა ერთიანი პოზიციის შემუშავება გაართულა. ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ერაყის თემა ხელოვნურად იქნა ჩართული საარჩევნო კამპანიაში, რათა ამით მთავრობას, უფრო აქტუალურ საკითხებში, საკუთარი უსუსურობა დაეფარა.

ცხადია, რომ შრიოდერისათვის ერაყის თემა საარჩევნო საკითხად იქცა. ამდენად, საინტერესოა, რა პოზიციას დაიკავებს იგი ერაყთან მიმართებაში არჩევნების შემდეგ, როცა მოკავშირე ამერიკელები ბაღდადის წინააღმდეგ გადამწყვეტ ნაბიჯებს გადადგამენ. ფაქტია, რომ საარჩევნო ციებ-ცხელებამ, შეიძლება, მართლაც უარყოფითად იმოქმედოს გერმანია-ამერიკის ურთიერთობებზე. მართალია, ვაშინგტონი აქამდე დუმილს არჩევდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც გერმანიის იუსტიციის მინისტრმა ბუშის ადმინისტრაციის მოქმედება ჰიტლერის ნაცისტურ რეჟიმს შეადარა, აღშფოთება თეთრ სახლშიც ველარ დამალეს. ქრისტიან-დემოკრატებსა და ლიბერალებში ყოველივე ეს შეშფოთებას იწვევს. ისინი შრიოდერს, საკუთარი ხელისუფლების გადარჩენის მიზნით, გერმანიის სახელმწიფო ინტერესების, კერძოდ, ვაშინგტონთან ურთიერთობების უგულებელყოფაში ადანაშაულებენ.

ასეა თუ ისე, შრიოდერმა ერაყის თემით თავისი პარტიის შერყეული პოზიციების გამყარება შეძლო. ამაში მას საკუთარი ქარიზმაც დაეხმარა. მაშინაც კი, როცა სოციალ-დემოკრატების რეიტინგი ქრისტიან-დემოკრატებისაზე საგრძნობლად დაბალი იყო, კანცლერობის კანდიდატების პიროვნულ რეიტინგში შრიოდერი მეტოქეს აშკარად ჯაბნიდა. გერმანიის ისტორიაში პირველად, ამერიკული საპრეზიდენტო მარათონის მსგავსად, ამ არჩევნებთან დაკავშირებით შედგა წამყვანი პარტიების კანცლერობის კანდიდატების ტელედუელი. როგორც მოსალოდნელი იყო, "მედიაკანცლერმა" შრიოდერმა ბავარიელი კონკურენტი აშკარად დაჯაბნა. იგი უფრო ლაღად და დამაჯერებლად პასუხობდა ჟურნალისტების კითხვებს, ხოლო შტოიბერს ნერვიულობა აშკარად ეტყობოდა. ტელედუელებმა კიდევ უფრო გაამყარა შრიოდერის უპირატესობა შტოიბერთან შედარებით. იმავდროულად, კიდევ ერთხელ გამოჩნდა თანამედროვე საარჩევნო ტექნოლოგიებში საინფორმაციო საშუალებების გადამწყვეტი როლი. როგორც სკეპტიკოსები ამბობენ, გერმანიაში დღეს კარგი კანცლერი კი არა, კანცლერის როლის კარგი შემსრულებელი უფრო ფასობს. ამაში კი შრიოდერს ბადალი არ ჰყავს.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ წლევანდელი არჩევნების პროგნოზირება ძალზე რთულია, რადგან უამრავმა წვრილმანმა ფაქტორმა, შეიძლება, რადიკალურად შეცვალოს ვითარება. ასე რომ, კითხვას, თუ ვინ გაუძღვება გერმანიას მომდევნო 4 წლის განმავლობაში, მხოლოდ 22 სექტემბრის შემდეგ შეიძლება გაეცეს დამაჯერებელი პასუხი.

22 სექტემბრის არჩევნებში სულ 24 პარტია მონაწილეობს. აქედან ბუნდესტაგში მოსახვედრად საჭირო 5-პროცენტიანი ბარიერის გადალახვის რეალური შანსი მხოლოდ ხუთ პარტიას აქვს. პირველ რიგში, ესენი არიან წამყვანი პარტიები - კონსერვატიული ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი, თავის დობილ ქრისტიანულ-სოციალურ კავშირთან ერთად და მემარცხენე-ცენტრისტული სოციალ-დემოკრატიული პარტია.

მართალია, ქრისტიან-დემოკრატები და სოციალისტები წამყვანი პარტიები არიან, მაგრამ მთავრობის ჩამოყალიბებას ისინი დამოუკიდებლად მაინც ვერ ახერხებენ და ყოველთვის მესამე ძალაზე არიან დამოკიდებულნი. დღესდღეობით ასეთ ძალას ლიბერალურ ღირებულებებზე დაფუძნებული თავისუფალი დემოკრატიული პარტია (FDP) და მწვანეთა პარტია (Bundnis) ქმნიან.

ლიბერალები 1966 წლამდე, როგორც წესი, ქრისტიან-დემოკრატების კოალიციის პარტნიორები იყვნენ, ხოლო 1969-1982 წლებში სოციალ-დემოკრატებს უმშვენებდნენ გვერდს. მესამე ძალის როლში ლიბერალებს 90-იანი წლებიდან მძაფრ კონკურენციას უწევს მწვანეთა პარტია. მისი ლიდერის, ახლანდელი საგარეო საქმეთა მინისტრის - იოშკა ფიშერის პოპულარობის წყალობით, 1998 წელს მწვანეებმა, სოციალისტებთან ერთად, პირველად მიიღეს მთავრობის დაკომპლექტებაში მონაწილეობა.

გერმანიის გაერთიანების შემდეგ ქვეყნის პარლამენტში წარმოდგენილია კიდევ ერთი - დემოკრატიული სოციალიზმის პარტია, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველი კომუნისტების (სოციალისტური ერთიანობის პარტია) მემკვიდრეა.

დანარჩენი პარტიები, მათ შორის, წვრილ-წვრილი მემარჯვენე რადიკალურ-ნეოფაშისტური დაჯგუფებები, არჩევნებში, როგორც წესი, ხმების, მაქსიმუმ, 2-3 პროცენტს აგროვებენ და, ამდენად, ბუნდესტაგს მიღმა რჩებიან.

## გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერები

*გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, მისი 53-წლიანი ისტორიის განმავლობაში, სათავეში სულ 7 კანცლერი ედგა.*

**კონრად ადენაუერი** (1949-1963), ქრისტიან-დემოკრატი, ცნობილია, როგორც თანამედროვე გერმანიის დამაარსებელი;

**ლუდვიგ ერჰარდი** (1963-1966), ქრისტიან-დემოკრატი, გერმანული "ეკონომიკური საოცრების მამა";

**კურტ გეორგ კისინგერი** (1966-1969), ასევე ქრისტიან-დემოკრატი, წარსულში ცნობილი იყო ნაცისტურ წრეებთან კავშირებით;

**ვილი ბრანდტი** (ნამდვილი სახელი ჰერბერტ ფრამი) (1969-1974), პირველი სოციალ-დემოკრატი კანცლერი, საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან დაახლოების პოლიტიკის სულის ჩამდგმელი;

**ჰელმუტ შმიდტი** (1974-1982), ასევე სოციალ-დემოკრატი;

**ჰელმუტ კოლი** (1982-1998), ქრისტიან-დემოკრატი, გერმანიის გამაერთიანებელი კანცლერი, მოხსნა ხელისუფლებაში ყოფნის ხანგრძლივობის ყველა რეკორდი;

**გერჰარდ შრიოდერი** (1998-დღემდე), სოციალ-დემოკრატი, საინფორმაციო საშუალებებთან წარმატებული თანამშრომლობის გამო "მედია-კანცლერის" მეტსახელი დაიმკვიდრა.

# ბიძინა გეგიძე: ჩვენ ბევრად გავასწარით საქართველოს სინამდვილეში არსებულ სტერეოტიპებს



ბიძინა გეგიძე "24 საათის" რედაქციაში.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

პირველი გვერდიდან

ეს 100 000 ლარიც სრულად ვერ მივიღეთ. იმდენი სირბილი მიწევს ამ თემაზე, რომ ფიზიკური მომზადება უნდა დავიწყო. დღევანდელი პრობლემის მოსაგვარებლად სულ საჭიროა 64 000 დოლარი. აქ არ შედის - ეკიპირება, ფარმაკოლოგიური უზრუნველყოფა, რომელიც საკმაოდ ძვირია. ამას ჩვენი ძალებით მოვახერხებთ.

## ეს თანხა არაფერია, მაგრამ მაინც რაზე გყოფნით?

ეს ნაწილობრივ არის საკმარისი იმისთვის, რომ ერთხელ შეიკრიბოს გუნდი. გუნდმა რომ მოიგოს, მომზადება უნდა - შეკრება, ვარჯიში.. ვსაუბრობ არა საერთაშორისო, არამედ ჩვენი სტანდარტებით შეკრებაზე...

## შემოსავლის წყარო...

ეს არის გრანტები, რომელსაც რაგბის საერთაშორისო საბჭო გვაძლევს. ყოველი წლის დასაწყისში წარვადგენთ ხოლმე ჩვენს კონცეფციას, ბიზნეს გეგმას. ანუ, რისთვის ვთხოვთ ირბ-ს ფინანსურ მხარდაჭერას. რომელიც ფეხბურთის ფედერაციასავით მდიდარი ორგანიზაცია არ არის, მაგრამ მას რაგბის მხარდაჭერის ფონდი აქვს შექმნილი. სწორედ ამ ფონდიდან ეხმარება იმის მიხედვით, როგორ განავითარეს და რა შედეგები აქვს ამა თუ იმ ქვეყანაში რაგბის არსებობას.

7 წლის წინ 20 000 ფუნტი მივიღეთ. მაშინ რაგბის რუკაზე არანაირი ადგილი არ გაგვაჩნდა, არანაირი ინფრასტრუქტრა არ იყო... ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ვინმეს ჩრდილი მივაყენო. ჩვენი მიზანი - მსოფლიო თასზე გასვლა იყო, რაც დიდი სტიმული იქნებოდა ქართველებისთვის. ამ მიზნის მისაღწევად სანაკრებო პოლიტიკა შევიმუშავეთ. ბავშვთა გუნდების განსავითარებლად, მწვრთნელების სტაჟირებისთვის და ა. შ. დავხარჯეთ გრანტი. ეს ყველაფერი იოლი არ იყო.

## კიდევ აინტერესებთ თუ არა ახალ მემარჯვენეებს რაგბი?

ახალმა მემარჯვენეებმა, როცა ის ჯერ კიდევ საზოგადოებრივი მოძრაობა იყო, და კიდევ ხუთმა კომპანიამ ახალი ქართული ფონდი დააფუძნა. ამ ფონდმა ჩვენ გარკვეული სახის დახმარება გაგვიწია. მაგრამ, ფონდის შექმნამ სასურველზე მეტი ემოციები გამოიწვია და დახმარების თხოვნის მთელი ნიაღვარი წამოვიდა. ფონდი ყველაფერს ველარ გაწვდა. ამას დაერთო ისიც, რომ პარტია შეიქმნა. გამძაფრდა პოლიტიკური ფონი...

პირდაპირ ვაცხადებ, როცა დახმარებაზე ვსაუბრობ, მხედველობაში მაქვს სახელმწიფოს მხრიდან დამოკიდებულება რაგბისადმი და არამხოლოდ დაფინანსება. ეს ძალზე მნიშვნელოვანია ჩემთვის და რაგბისტებისთვის. გამიჭირდება მოვძებნო სიტყვა, ეს დამოკიდებულება რომ განვმარტო - არანაირი! მაგალითად, ხელისუფლებას ერთი თვის წინ მივმართე დახმარებისთვის.

საკითხი ეხება ეროვნულ ნაკრებს, რომელმაც დიდი მნიშვნელობის გამარჯვება უნდა მოიპოვოს... სპორტის დეპარტამენტი, რომელიც ხელისუფლების შემადგენელი ნაწილია, დროს მაკარგვინებს და იმასაც არ მეუბნება, რომ ვერაფრით დამეხმარება. ვითომ, ჩემი წყენინება არ უნდათ... მთელი სახელმწიფო არწყენინების პრინციპზეა აგებული... ასე არფერი გამოვა.

ამ ლოგიკით, კლოდ სორელამდე რომ მწვრთნელი იყო, იმასაც კი ეწყინა, რომ აღარ იყო მწვრთნელი, მაგრამ სორელმა შედეგი მოიტანა. ჩემთვის ეს შედეგია პრიორეტული.

ირბ-ს პრეზიდენტი ინგლისის დედოფლის პირველი მრჩეველია, რომელსაც რაღაც საკითხებზე უთქვამს ჩემთვის - ამას თქვენთვის ახლა მე ვერ გავაკეთებო... და ეს ნორმალურად გავიგე. ირაკლი მეძმარიაშვილს კარგად ესმის სპორტის ნიუანსები და დამოკიდებულებაც ადეკვატურია, მაგრამ თავის თავს ვერ გადაახტება.

## სად მიდის ტრანსფერებიდან შემოსული თნხა. კლუბები ამბობენ, რომ მათთან არა

ეს მართალია. პირდაპირ გუნდებს ჩვენ ვერ მივცემთ ამ ფულს, რადგან მათ არანაირი სტრუქტურა არ გააჩნიათ. ვინ უნდა მიიღოს ეს თანხა? რის საფუძველზე უნდა მიიღონ... მენეჯერიც კი არ ჰყავთ, მორალური ხელშეკრულებაც კი არ აქვთ მოთამაშეებთან...

ამიტომაც, კლუბი კლუბს იურიდიულად ვერ ელაპარაკება. 30 გუნდია და ყველას ვეუბნები, გაფორმონ ხელშეკრულებები, თუნდაც კლუბის შიდა დებულება... ეს ძალზე დიდი მინუსია.

თუ სტრუქტურული და ფინანსური პრობლემები არ მოგვარდა, გუნდმა ევროტურნირზე არც უნდა იოცნებოს. ახლა მუშაობა დავიწყეთ სტრატეგიული განვითარების გეგმაზე. იმ ფუნქციებსაც ავიღებთ ჩვენს თავზე, რომ მოვამზადოთ მენეჯერები, რომლებიც შემდგომ ცივილიზებული ურთიერთობებს დაამყარებენ საზღვარგარეთის გუნდებთან და ყველაფერს მოაგვარებენ.

## ეროვნული ჩემპიონატის დონე დაეცა, რა ქნას მომავალმა თაობამ...

დონე არ დაცემულა. უბრალოდ, ჩამორჩა ნაკრებების განვითარების ტემპს. აწყობილი სტრუქტურა პირდაპირ კავშირშია იმასთან, თუ როგორ წარსდგები არამხოლოდ ეროვნულ ჩემპიონატებზე. მიზეზი შიდა ტრასფერებიცაა. გარე ტრანსფერებიდან კომპენსაციის სახით რაღაცას მაინც იღებს ქართული მხარე. კლუბმა, რომელმაც აღზარდა მოთამაშე, დახარჯა ენერგია, ფული, ბოლოსდაბოლოს, პროფესია მოგცა - კომპენსაცია უნდა მიიღოს. ამისათვის არის საჭირო სწორედ ხელშეკრულებები. ვთქვათ, ასეთი: კლუბი ვერ გაძლევს ხელფასს, მაგრამ გასწავლის რაგბის, დაყავხარ შეკრებებზე... მოთამაშე რომ სხვაგან გადავა, მშობლიურმა კლუბმა, კომპენსაციის სახით, რაღაც უნდა მიიღოს...ან ეკიპირება - ბურთი, ტანსაცმელი... ან ფული... ეს არის მორალური ხელშეკრულება.

## თუ კლოდ სორელი სახლში წავიდა...

ამ საკითხზე, რა თქმა უნდა, გვიფიქრია. არსებობს მწვრთნელთა ჯგუფი, ვინც სორელის სრულფასოვან ცვლად შეიძლება მივიჩნიოთ... მაგალითად, პაატა ნარიმანიშვილი - ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელი; ლევან მაისაშვილი, ლელო ორბელი, მამუკა ტყეშელაშვილი, დიმა ობოლაძე (ჩვენი დიმა – არა. რედ.)

ირბ-ში ერთი პროექტი მუშაობს: ქვეყნებს ურიგებენ თემებს - ვთქვათ, ტაქტიკაზე, კორიდორში თამაშზე და ა.შ. ჩვენ შერკინების ტაქტიკური მოქმედებები გვერგო. წავიდა დიმა და ფურორი მოახდინა. მეორედ ლევან მაისაშვილი წავიდა, რომელმაც ასევე ფურორი მოახდინა. მათი დაწერილი თემები შემდეგ სახელმძღვანელოდ დაურიგეს გუნდებს.

ჩვენ ბევრად გავასწარით საქართველოს სინამდვილეში არსებულ სტერეოტიპებს.

## პროფესიული რაგბი საქართველოში...

რაგბი მსოფლიოში 1995 წელს გახდა პროფესიული. ჩვენ ამისთვის ჯერ მზად არ ვართ. მოვა მაგის დრო. თუ ახლა მოვიგეთ და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მოვხვდით, ეს ძალიან მალე გახდება შესაძლებელი.

მე ასე ვხედავ. ასე ვხედავდი ჯერ კიდევ დასაწყისში, როცა მიზანი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გასვლა იყო. რაგბის მოედნებს ვხედავ და ა.შ. დღეს ირბ-დან 90 000 ფუნტი გვაქვს. მერე უფრო მეტს მოგვცემენ.

## მოედანი, რომელიც ჯერ არ ჩანს...

სტადიონი სახელმწიფომ უნდა ააშენოს. რაც აქამდე გაკეთდა, ირბ-ის მიერ გამოყოფილი თანხითაა გაკეთებული. სხვა ფული კი არ ჩანს.

თავი დავანებოთ მსოფლიო თასს, ევროპის ერთა თასს, სხვადასხვა პრიზებს... რაგბი დიდ ფასეულობებს მოიცავს. პიროვნების ჩამოყალიბებაში ძალზე დიდი და დადებითი როლი აკისრია. ეს საინტერესო სამყაროა. ბრიტანეთში, ამ ფასეულობების გამო, რაგბი პრიორიტეტი გახდა. ამ სახეობას განსაკუთრებულად უფრთხილდებიან. მათ რაგბის გეოგრაფიის გაზრდაც კი არ უნდათ, რადგან იციან, რომ ეს კეთილშობილი სპორტი პოლიტიკაში, ფინანსებში და სხვა უარყოფით პროცესებში აითქვიფება. რაგბს აღმზრდელობითი ფუნქციაც დააკისრა სამეფომ - ყველა პრესტიჟული კოლეჯის პროგრამაში ჩასვა. სახელმწიფოს ესაჭიროება ბევრი ისეთი ადამიანი, ვინც რაგბის სამყარო იცის. ის დაეყრდნობა ასეთ ადამიანებს მშვიდობისა და ომის დროსაც. მათ სამშობლოსთვის საჭირო გადაწყვეტილების მიღება ექსტრემალურ სიტუაციაში, შეუძლიათ. სიმართლე გითხრათ, ჩემი ოცნებაა, მსგავსი ჩანასახი საქართველოში დავინახო.

## საბოლოოდ რას ელით... არ ჩამოვლენ ჩვენი ნაკრების წევრები?

მაშინ, ჩვენ ყველანი უნდა მოვკვდეთ. არ ვიცი, რა მოხდება. სკანდალი არაფერი იქნება იმასთან შედარებით, რასაც ეს გამოიწვევს.

## უმაღლესი წერტილი, რასაც ქართული რაგბი მიაღწევს...

დღეს ეს არის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გასვლა. მერე ყველაფერი სხვაგვარად იქნება.

*მოამზადა*
*მაია ჭალაგანიძემ*

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს - „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

სატელევიზიო რეკლამების კვლევა და მონიტორინგი
ჯორჯიან რისერჩი

ჩვენი ტელეფონებია: 25-35-48; (899) 51-19-94



გაზეთი "24 საათი" და მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი" ატარებენ სილამაზის კონკურსს

მის ფოტო მოდელი 2002

მონაწილეობის მისაღებად იწვევენ 15-დან 30 წლამდე ასაკის გოგონებს.

კანდიდატების ფოტოები განთავსდება გაზეთ "24 საათში" 6 დღის განმავლობაში და კვირის ბოლოს ხმათა უმრავლესობით შეირჩევა კვირის გამარჯვებული ანუ ნახევარფინალისტი. შემდეგ ნახევარფინალისტებიდან გამოვლინდება გამარჯვებული "მის ფოტო მოდელი 2002". კონკურსში გათვალისწინებულია შემდეგი ნომინაციები:

1.მის ფოტო მოდელი 2002
2.ვიცე მის ფოტო მოდელი 2002
3.საუკეთესო საცურაო კოსტუმი

გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან ფასეული პრიზებით და მათ ელით უამრავი სიურპრიზი. კონკურსის ჟიურის წევრები იქნებიან თავად გაზეთის მკითხველები. იმისათვის, რომ ხმა მისცეთ თქვენთვის სასურველ კანდიდატურას, აუცილებელია შეიძინოთ გაზეთი "24 საათი", ამოჭრათ მასში მოთავსებული ხმის მისაცემი ბარათი, მონიშნოთ მასზე თქვენთვის სასურველი კანდიდატურა (ერთ ბარათზე მხოლოდ ერთი კანდიდატურის მონიშვნაა შესაძლებელი. იმ ბარათზე, რომელზეც ერთზე მეტი კანდიდატურა იქნება მონიშნული - ანულირდება.) შევსებული ბარათი მოიტანეთ გაზეთ "24 საათის" რედაქციაში (ვაჟა ფშაველას 45, მე-14 სართული) ან ჩააგდეთ გაზეთ "24 საათის" საფოსტო ყუთში ვაჟა (ფშაველას 45, პირველი სართული)

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მოგვაკითხეთ მისამართზე: ვაჟა ფშაველას 45, მე-15 სართული, მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი". ტელ. 53 69 11

www.24hours.ge 24 B


ჩოგბურთი

# CARTU LADIES OPEN: ნავრატილოვას ტრიუმფატორობა არ ეღირსა

ნინო პირველი

**ერთეულთა თანრიგი ფინალი**

**კატარინა დაშკოვიჩი (იუგოსლავია) – გაბრიელა ნავრატილოვა (ჩეხეთი) 3:6, 6:3, 6:1**

ქალ ჩოგბურთელთა თბილისური ტურინირის ბოლო აკორდად სერბი კატარინა დაშკოვიჩისა და ჩეხი გაბრიელა ნავრატილოვას სამსეტიანი ტრილერი იქცა. მას შემდეგ, რაც ევა ბირნეროვასთან ერთად წყვილთა ფინალი მოიგო, გაბრიელა ნავრატილოვას დუბლის შესრულებისა და ტრიუმფატორის დაფნის გვირგვინის მოპოვების ბრწყინვალე შანსი ჰქონდა, მაგრამ მაკა ჩახნაშვილის დამჩაგვრელმა ჩეხმა ჩოგბურთელმა კატარინა დაშკოვიჩის დამარცხება უკვე ვეღარ შეძლო.

პირველი სეტი ნავრატილოვამ უპრობლემოდ მოიგო, მიუხედავად იმისა, რომ სამი გეიმი მოწინაამღდეგეს დაუთმო.

შემდეგ, ნელ-ნელა გამოიკვეთა დაშკოვიჩის უპირატესობა. ფიზიკურად ძალზე ძლიერი სერბი ჩოგბურთელი, თავისი საფირმო უძლიერესი დარტყმებით, ნავრატილოვას აიძულებდა, უთავბოლოდ ერბინა კორტის ერთი ბოლოდან მეორესკენ და თითოეული ბურთის მოგერიებისთვის მთელი ძალ-ღონე შეელია. მიუხედავად იმისა, რომ ნავრატილოვამ ტურნირს ორი ქართველი ჩოგბურთელი გამოთიშა, მაყურებელთა უმეტესობა მაინც მას გულშემატკივრობდა და მოთმინებით ელოდა, როდის მოახერხებდა ჩეხი სპორტსმენი სიტუაციის გამოსწორებას. მაგრამ დაშკოვიჩმა მეტოქეს არაფერი დაუთმო და მეორე სეტი დამსახურებულად მოიგო.

მესამე სეტში ნავრატილოვას უკვე სასტიკად გაუჭირდა. ჩეხი ჩოგბურთელის თამაშზე, შეიძლება, იმანაც მოახდინა გავლენა, რომ ის ერთდღიანი ინტერვალით ზედიზედ ორ ფინალში მონაწილეობდა და, უბრალოდ, გადაიღალა. დაშკოვიჩი უფრო დასვენებული იყო და ენერგიულად გამოიყურებოდა. მესამე სეტი მან პირწმინდად მოიგო და მოწინაალმდეგეს სეტის გადარჩენის მინიმალური შანსიც კი არ დაუტოვა.

დანაღვლიანებულ ნავრატილოვას ისღა დარჩენოდა, ტურინირის ორგანიზატორებისთვის მადლობა გადაეხადა და მაყურებლისთვის პირობა მიეცა, თბილისში მომავალ წელსაც ჩამოვალო. ასეთი სურვილი დაშკოვიჩმაც გამოთქვა, რომელიც საქართველოში უკვე მესამედაა, ტურნირის მოგება კი მხოლოდ წელს მოახერხა. დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი კორტზე შეკრებილი საზოგადოების ბათუმში მიწვევით დასრულდა, სადაც 22 სექტემბერს ქალთა კიდევ ერთი შეჯიბრი აიღებს სტარტს, რომლის საპრიზო ფონდი 75 ათასი დოლარია და როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამტკიცებს, აჭარის დედაქალაქში უფრო ძლიერი შემადგენლობა მოიყრის თავს.



კატარინა დაშკოვიჩი და გაბრიელა ნავრატილოვა

მძლეოსნობა

# კონტინენტებად და ქვეყნებად დაყოფილი ბილიკები

ბიბა ბურასაშვილი

მსოფლიო თასი მძლეოსნობის სამყაროში ყველაზე პრესტიჟული გუნდური ასპარეზობათაგანია. აქ პირველობას ერთმანეთს ეცილებიან, როგორც ცალკეული ქვეყნები, ისე კონტინენტები. ასე იყო მადრიდულ მსოფლიო თასზეც. გუნდური ასპარეზობის მიუხედავად, გამოირჩეოდნენ ცალკეული სპორტსმენები.

ამერიკელმა მერიონ ჯონსმა მიმდინარე სეზონი მისთვის საფირმო დისციპლინაში – 100 მეტრზე რბენაში წაუგებლად დაასრულა. მსოფლიო თასის მე-9 გათამაშებაშიც იგივე შეძლო. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, უძლეველობის აურით შემკულმა ჯონსმა, 1997 წლის შემდეგ, პირველად მოახერხა სეზონი დაუმარცხებელს დაეტოვებინა.

"კარგი შეგრძნებაა, როდესაც სეზონს დაუმარცხებლად ასრულებ. აღარც კი მახსოვს, ოდესმე ასეთი რამ გამიკეთებია თუ არა. 1998 წელს მსოფლიო თასის გათამაშებაზე სიგრძეზე ხტომაში ჰეიკე დრექსლერმა (გერმანია) მაჯობა. 2000 წელს კი ამავე დისციპლინაში სულაც რამდენიმეჯერ დავმარცხდი. ამას დაურთეთ მსოფლიო ჩემპიონატზე ჟანა პინტუსევიჩ-ბლოკთან (უკრაინა) შარშანდელი მარცხიც. ასე რომ, მიმდინარე სეზონი განსაკუთრებული გამოდგა,"- განაცხადა ჯონსმა.

რაც შეეხება ასპარეზობას - ჯონსსაც და მის მეტოქეებსაც საკმაოდ უჩვეულო პირობებში მოუწიათ პაექრობა. ჭექა-ქუხილმა, თავსხმა წვიმამ, ქარმა... სტარტი 35 წუთით დააყოვნა. ამ მხრივ, ჯონსს ყველაზე მეტი წინააღმდეგობის გადალახვა მოუწია. სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა სტარტი მისთვის უჩვეულო პირველ ბილიკზე აიღო. ჩვეულებისამებრ, ამერიკელი მეოთხე, ან მეხუთე რიგში ასპარეზობს ხოლმე, მაგრამ ამჯერად კენჭისყრის შედეგი სხვაგვარი აღმოჩნდა.

"ის, რომ პირველ ბილიკზე აღმოვჩნდი, არა უშავს, ეს შეიძლება ნებისმიერ ჩვენგანს მოუვიდეს, მაგრამ ცუდი ის იყო, რომ წვიმის წყალი (დაქანების გამო) აქეთ მოედინებოდა. სველ ბილიკზე რბენა კი არცთუ იოლი საქმეა. ისეთი შეგრძნება მქონდა, მეგონა, წყალი დამახრჩობდა,"- ასპარეზობის პერიპეტიებს გვამცნობს ჯონსი.

ნაკლები მღელვარებით გამოირჩეოდა ვაჟთა შორის იგივე დისციპლინა. ამერიკელმა ტიმ მონტგომერიმ, რომელმაც ახლახან მსოფლიო რეკორდით გამოიჩინა თავი, მსოფლიო თასზე არ იასპარეზა. მიზეზი გაღიზიანებული მუხლი და ტერფია. იმედოვნებდნენ, რომ ამერიკელ თანაგუნდელებს 4x100 ესტაფეტაში მაინც შეეშველებოდა, მაგრამ ბოლოს ამაზეც უარი განაცხადა. თუმცა, იანკებმა უიმისოდაც შეძლეს გამარჯვება. მეორეზე ამერიკის კონტინენტი გავიდა, რომელიც კანადას, კარიბეთს, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკას აერთიანებს. მესამეზე კი აფრიკაა.

მერიონ ჯონსის არ იყოს, წაუგებელი სეზონი ჰქონდა მექსიკელ ანა გუევარასაც. მას აქამდე ცხრიდან ცხრა ასპარეზობა მოეგო, ახლა კი გამარჯვებათა სერია ათამდე გაზარდა, როდესაც 400 მეტრზე, საჩემპიონო დროში 49,56 წამში მიიჭრა ფინიშის ხაზთან.

"ათიდან ათი გამარჯვება კარგი შედეგია. მინდოდა, ჩემი საუკეთესო შედეგის შესაბამის დროში მერბინა, მაგრამ ხანგრძლივი სეზონის გამო ცოტა გადავიღალე. ამასთან, მეშვიდე ბილიკზე რბენაც არაა საუკეთესო ვარიანტი,"- განაცხადა გუევარამ.

რაც შეეხება ასპარეზობის პირველი დღის შემაჯამებელ შედეგებს, ვაჟთა შორის, 65 ქულით, აფრიკა ლიდერობს. ამათ მოჰყვება აშშ-ის ნაკრები, ხოლო მესამეზეა ევროპა. ქალთა შორის კი ევროპა დაწინაურდა. რუსეთი მეორეზეა, მესამეზე - აშშ.

რაგბი

# რუსი „დათვები" გადათელეს

რუსეთი ირლანდია 3:35

გუშინ დაიწყო მსოფლიოს 2003 წლის თასის გათამაშების გადამწყვეტი შესარჩევი ეტაპი რაგბში. კრასნოიარსკის ცენტრალურ სტადიონზე რუსეთის ნაკრები ირლანდიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ირლანდიელებმა მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს და საკმაოდ იოლად – 35:3 გაანადგურეს.

ირლანდიელთა გუნდმა გამოცდა წარმატებით ჩააბარა და შეუძლია, სამშობლოში თავაწეული ჩავიდეს. საქმე ისაა, რომ წინა მსოფლიო თასის მერვედფინალში, არგენტინასთან მარცხის შემდეგ, ირლანდიელი გულშემატკივრები თავის გუნდს გაციმბირებას უპირებდნენ და წამოსვლისას უთქვამთ, ციმბირთან მაინც ახლოს იქნებით და თუ სასურველი შედეგს ვერ მაღწევთ, იქვე დარჩითო. გუშინ გაირკვა, რომ ირლანდიელებს ციმბირში დარჩენა არ დასჭირდებათ.

თამაში სტუმართა კარნახით წარიმართა. მასპინძლებს ერთი დავალება ჰქონდათ, რაც შეიძლება, ნაკლები ანგარიშით წაეგოთ, რათა "ბორჯღალოსნებთან" შეხვედრაში ფრეც აძლევთ ხელს (შეასრულეს, თუ არა რუსებმა ამოცანა, 28 სექტემბერს ირლანდია-საქართველოს მატჩის შემდეგ გაირკვევა). პირველი ორი ლელო გირვან დემპსმა გაიტანა და სტუმრებმა ტაიმი – 18:0 მოიგეს.

მეორე ნახევარში ირლანდიის ნაკრებმა ზეწოლა გააძლიერა. ჯერ 53-ე წუთზე კეიტ გლესონს კეიტ ვუდმა დაუფასა გარჯა, ხოლო კიდევ რვა წუთში რონან ო`გარამ მალკოლმ ო`კელის ძალისხმევა დააგვირგვინა. ანგარიში – 35:0 იყო, როცა რუსებმა ფხა გამოიჩინეს და, საჯარიმო დარტყმით, მშრალ წაგებას გადაურჩნენ.

მატჩის შემდეგ რუსეთის ნაკრებს გულშემატკივრები კარგ თამაშს ულოცავდნენ და აღნიშნავდნენ, რომ ირლანდიელთა მაღალმა კლასმა თავისი გაიტანა, მაგრამ რუსეთის ნაკრების თამაში ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

ირლანდიელთა დამრიგებლის, სალივანის თქმით, გუნდმა ამ თამაშის წინ ნახევარი მსოფლიო შემოიარა და ამიტომ ოდნავ გადაღლილი ჩანდა, მაგრამ მოხარულია, რომ გამარჯვება მაინც მოახერხა. "რა თქმა უნდა, დღევანდელ შეცდომებს გავიაზრებთ და საქართველოს ნაკრებთან შესახვედრად მოვემზადებით," – განაცხადა სალივანმა.

ჭიდაობა

# ბრინჯაო, როგორც იქნა, მოვიპოვეთ, დანარჩენი დღეს გამოჩნდება

მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატების ხანგძლივობის ოთხიდან სამ დღემდე შემცირებამ ფალავანთა ასპარეზობები გაცილებით დინამიური და დამაინტრიგებელი გახადა.

მოსკოვში მიმდინარე ასპარეზობაზე ქართველ მოჭიდავეთაგან ყველაზე შორს წასულმა მანუჩარ კვირკველიამ, გუშინ გამართულ ნახევარფინალური შერკინებისას, ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონ აზერბაიჯანელ ფარიდ მანსუროვს ვერაფერი დაუპირისპირა და 1:3 წააგო. თუმცა, ფინალში გასული აზერბაიჯანელი მოჭიდავის წყალობით, კვირკველიამ მესამე ადგილისთვის ბრძოლა გააგრძელა.

ჩემპიონატის მასპინძელ მაქსიმ სემიონოვთან პაექრობისას კი ქართველ ფალავანს წარმატების შანსი ხელიდან აღარ გაუშვია და ბრინჯაოსაც დაეუფლა (3:1).

მანამდე კი მედლებისთვის ბრძოლაში ჩაებნენ დარჩენილი ოთხი წონითი კატეგორიის - 60, 74, 96, 120 მოჭიდავეებიც. სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოსანმა აკაკი ჩაჩუამ, მას შემდეგ, რაც პირველი წრის შეხვედრაში დაისვენა, მეორეში დანიელ ნიბლომს ერთი ქულაც არ დაუთმო და შეხვედრა ანგარიშით - 4:0 მოიგო. მესამე წრეში გასული ქართველი ფალავანი ტაივანელ ლინ ჩიენ-ლიანგს დაუპირისპირდა. ჩაჩუამ მეტოქეს ერთადერთი ქულა დაუთმო, თავად კი ოთხი მიითვალა და დღეს ჯგუფიდან გასასვლელ ორთაბრძოლას გამართავს. 74 კილოგრამ წონით კატეგორიაში კარგად აიღო სტარტი ბადრი ხასაიამაც.

პირველ წრეში ჯერ ფრანგი ალან ხასლი ჩამოიშორა გზიდან (3:1), შემდეგ დაისვენა და მესამეში ყაზახ აბაი უდეშოვსაც მოუგო (3:0). ჩაჩუას მსგავსად, ხასაიასაც ჯგუფიდან გასასვლელი ორთაბრძოლა ელის დღეს. ქართველთაგან ვერცერთი საფეხური ვერ გადალახა რამაზ ნოზაძემ.

იგი ჯერ თურქ მეჰმეთ ოზალთან დამარცხდა (0:3) პირველი წრის შეხვედრაში, შემდეგ - ბერძენ გეორგიოს კოუცოუბასთან, იგივე ანგარიშით. იგი გამოეთხოვა სარბიელს და საერთოდ ჩემპიონატს. ახლა, დღევანდელი ასპარეზობების იმედად ვართ.

ფეხბურთი

# ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების შედეგები

იტალიის ჩემპიონატი მესამე ტური

| | | |
|---|---|---|
| **21 სექტემბერი** | | |
| მილანი | 3 - 0 | პერუჯა |
| ემპოლი | 0 - 2 | იუვენტუსი |
| **დღეს გაიმართება** | | |
| ატალანტა | ? - ? | ბოლონია |
| კიევო | ? - ? | ბრეშა |
| პარმა | ? - ? | კომო |
| პიაჩენცა | ? - ? | უდინეზე |
| რეჯინა | ? - ? | ინტერი |
| ტორინო | ? - ? | ლაციო |
| რომა | ? - ? | მოდენა |

გერმანიის ჩემპიონატი მეექვსე ტური

| | | |
|---|---|---|
| **21 სექტემბერი** | | |
| ბაიერნი | 3 - 1 | კოტბუსი |
| ჰანოვერი | 2 - 2 | ბოხუმი |
| ჰანზა | 0 - 1 | დორტმუნდი |
| ჰერტა | 2 - 0 | ჰამბურგი |
| კაიზერსლაუტერნი | 0 - 0 | მიუნხენ 1860 |
| ვერდერი | 3 - 2 | ლევერკუზენი |
| ვოლფსბურგი | 0 - 2 | ნიურნბერგი |
| **დღეს გაიმართება** | | |
| შალკე | ? - ? | მიონხენგლადბახი |
| შტუტგარტი | ? - ? | არმინია |

პორტუგალიის ჩემპიონატი მეოთხე ტური

| | | |
|---|---|---|
| **21 სექტემბერი** | | |
| ბელენენსეში | 1 - 0 | პაკოშ ფერეირა |
| ბენფიკა | 3 - 1 | უნიაო ლეირია |
| **დღეს გაიმართება** | | |
| ბეირე მარი | ? - ? | ნასიონალი |
| ბრაგა | ? - ? | მორეირენსე |
| ჟილ ვისენტე | ? - ? | აკადემიკა |
| მარიტიმუ | ? - ? | სეტუბალი |
| **ხვალ გაიმართება** | | |
| სპორტინგი | ? - ? | ვარზიმი |
| გიმარაეში | ? - ? | პორტო |

ბელგიის ჩემპიონატი მეექვსე ტური

| | | |
|---|---|---|
| **21 სექტემბერი** | | |
| ბრიუგე | 1 - 0 | გენტი |
| შარლერუა | 0 - 0 | გენკი |
| ბეერსხოტი | 2 - 1 | ბევერენი |
| ლიერსი | 2 - 0 | სტანდარდი |
| მონსი | 3 - 0 | ანტვერპენი |
| სტ. ტრუიდენი | 5 - 1 | მეხელენი |
| **დღეს გაიმართება** | | |
| ლოკერენი | ? - ? | ვესტერლო |
| ლომელი | ? - ? | ლუვიე |
| **ხვალ გაიმართება** | | |
| ანდერლეხტი | ? - ? | მუსკრონი |

რუსეთის ჩემპიონატი მეორე ტური

| | | |
|---|---|---|
| **21 სექტემბერი** | | |
| ალანია | ? - ? | ლოკომოტივი |
| დინამო | 2 - 3 | როტორი |
| როსტსელმაში | 1 - 1 | სპარტაკი |
| სატურნი | 2 - 3 | შინნიკი |
| სოკოლი | 0 - 4 | ტორპედო |
| ურალანი | 1 - 0 | კრილია |
| **დღეს გაიმართება** | | |
| ზენიტი | ? - ? | ანჟი |
| ტორპედო ზილი | ? - ? | ცსკა |

ინგლისის ჩემპიონატი მეშვიდე ტური

| | | |
|---|---|---|
| **21 სექტემბერი** | | |
| ნიუკასლი | 2 - 0 | სანდერლენდი |
| არსენალი | 2 - 1 | ბოლტონი |
| ლივერპული | 2 - 0 | ვესტ ბრომვიჩი |
| მანჩესტერი | 1 - 0 | ტოტენჰემი |
| მიდლსბრო | 1 - 0 | ბირმინგემი |
| საუთჰემპტონი | 0 - 0 | ჩარლტონი |
| ვესტ ჰემი | 0 - 0 | მან. სიტი |
| **დღეს გაიმართება** | | |
| ასტონ ვილა | ? - ? | ევერტონი |
| ბლექბერნი | ? - ? | ლიდსი |
| **ხვალ გაიმართება** | | |
| ფულჰემი | ? - ? | ჩელსი |

საფრანგეთის ჩემპიონატი მერვე ტური

| | | |
|---|---|---|
| **21 სექტემბერი** | | |
| ლიონი | 1 - 3 | მონაკო |
| აიაჩო | 0 - 1 | სოშო |
| ოსერი | 3 - 1 | სედანი |
| ბორდო | 1 - 0 | ლენსი |
| ლე ავრი | 1 - 3 | მარსელი |
| ლილი | 2 - 1 | გინგამი |
| ნიცა | 1 - 0 | ტროა |
| რენი | 1 - 0 | ნანტი |
| სტრასბურგი | 3 - 2 | მონპელიე |
| **დღეს გაიმართება** | | |
| პსჟ | ? - ? | ბასტია |

ჰოლანდიის ჩემპიონატი მეხუთე ტური

| | | |
|---|---|---|
| **20 სექტემბერი** | | |
| ექსელსიორი | 1 - 2 | ალკმაარი |
| ბრედა | 2 - 0 | ტვენტე |
| **21 სექტემბერი** | | |
| ზვოლე | 1 - 3 | ეინდჰოვენი |
| როზენდალი | 2 - 3 | აიაქსი |
| ვილემ 2 | 1 - 1 | ნაიმეგენი |
| ფაიენოორდი | 2 - 0 | გრააფსხაპი |
| **დღეს გაიმართება** | | |
| გრონინგენი | ? - ? | უტრეხტი |
| როდა | ? - ? | ჰერენვენი |
| ვიტესი | ? - ? | ვალვაიკი |

შოტლანდიის ჩემპიონატი მერვე ტური

| | | |
|---|---|---|
| **21 სექტემბერი** | | |
| დანფერმლაინი | 1 - 0 | მოზერველი |
| ჰართსი | 2 - 0 | დანდი იუნ. |
| ჰიბერნიანი | 2 - 0 | კილმარნოკი |
| რეინჯერსი | 3 - 0 | პატრიკი |
| **დღეს გაიმართება** | | |
| დანდი | ? - ? | სელტიკი |
| ლივინგსტონი | ? - ? | აბერდინი |

თურქეთის ჩემპიონატი მეექვსე ტური

| | | |
|---|---|---|
| **21 სექტემბერი** | | |
| ელაზიგი | 2 - 1 | მალათია |
| ადანა | 0 - 2 | გაზიანთეფი |
| ბურსა | 4 - 1 | დიარბაქი |
| სამსუნი | 0 - 0 | გიოზთეფე |
| **დღეს გაიმართება** | | |
| ალთაი | ? - ? | დენიზლი |
| გენჩლერბირლიგი | ? - ? | ანკარაგიუჩი |
| ქოჯაელი | ? - ? | ისტანბული |
| ბეშიქთაში | ? - ? | ტრაბზონი |

მოკლედ

**ჩოგბურთი.** მოსკოვსა და პარიზში მიმდინარეობს დევისის თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩები. "როლან გაროს" კორტებზე საფრანგეთის ნაკრები ამერიკელებს მასპინძლობს. შეჯიბრების პირველი დღე ფრანგებისთვის იღბლიანი გამოდგა. ჯერ არნო კლემანმა ოთხსეტიან ბრძოლაში – 4:6, 7:6, 7:6, 6:1 დაამარცხა ენდი როდიკი, ხოლო შემდეგ ჯერი მიდგა ჯეიმს ბლეიკზე, რომელსაც ასევე ოთხსეტიან მატჩში სებასტიან გროსჟანმა მოუგო – 6:4, 6:1, 6:7, 7:5. აღსანიშნავია, რომ მეოთხე სეტში ამერიკელი იგებდა (4:1), მაგრამ თამაშის გამარჯვებამდე მიყვანა ვერ შეძლო. ამ დროისთვის მატჩის საერთო ანგარიშია – 2:0, საფრანგეთის ნაკრების სასარგებლოდ და თუ მასპინძლები წყვილთა თანრიგშიც გაიმარჯვებენ, მაშინ ფინალის საგზურს ვადაზე ადრე მოიპოვებენ.

ანალოგიური მდგომარეობაა მოსკოვშიც, სადაც ამერიკელთა მდგომარეობაში არგენტინელები აღმოჩნდნენ. ლათინოამერიკელებმა რუსებს ორივე შეხვედრაში გაუმართეს ბრძოლა, მაგრამ ორივეჯერ დამარცხდნენ. ჯერ მარატ საფინმა ხუან იგნასიო ჩელას სძლია – 6:7, 7:5, 7:5, 6:1, ხოლო შემდეგ, უაღრესად დრამატულ შეხვედრაში, ევგენი კაფელნიკოვმა გამოაჩინა ბრჭყალები და გასტონ გაუდიოს წინააღმდეგ, თითქმის წაგებული მატჩი თავის სასარგებლოდ შემოატრიალა – 3:6, 7:5, 6:3, 2:6, 8:6. საინტერესოა, რომ მეხუთე, გადამწყვეტ სეტში 5:2-ზე გასტონ გაუდიოს ორმაგი მატჩბოლი ჰქონდა, მაგრამ რუსმა, უზარმაზარი ძალისხმევის ხარჯზე, ზედიზედ ოთხი გეიმი მოიგო და სწორედ ამან განაპირობა კიდეც მატჩის საბოლოო შედეგი.

**კალათბურთი.** ჩინეთში მიმდინარე კალათბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატზე ჯგუფური ტურნირი დამთავრდა. უკანასკნელ ტურში ჩინელმა ქალბატონებმა არგენტინელები გაანადგურეს – 102:55, ამერიკელებმა ფრანგები – 101:68 ანგარიშით დაამარცხეს. ესპანეთის ნაკრებმა "იუგებს" გამოუყვანეს წირვა, ხოლო რუსებმა კუბელებს – 81:66. დრამატულად წარიმართა ორი შეხვედრა, სადაც ბრაზილიელებმა ბოლო წუთებზე ხარისხიანი თამაშით, ერთი ქულის სხვაობით, დაამარცხეს ავსტრალიელები – 75:74, ხოლო სამხრეთ კორეისა და ლიტვის ნაკრების შეხვედრა აზიელთა გამარჯვებით დამთავრდა (76:70).

ამრიგად, მეოთხედფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: ჩინეთი – რუსეთი, აშშ – ესპანეთი, საფრანგეთი – ავსტრალია, ბრაზილია – სამხრეთ კორეა.

**ველოსპორტი.** ესპანეთში "ვუელტას" მე-13 ეტაპი გაიმართა. ბურგოსიდან სანტანდერამდე 189,8- კილომეტრიანი რბოლა იტალიელთა ტრიუმფით დამთავრდა. პირველ ხუთ ადგილზე სწორედ აპენინელები განლაგდნენ. ფინიშის ხაზი ჯოვანი ლომბარდიმ გადაკვეთა. მისი შედეგია – 4 საათი, 11 წუთი და 21 წამი. გამარჯვებულს კვალდაკვალ დავიდე ბრამატი და პაოლო ბოსონი მიჰყვნენ. საერთო ჩათვლაში კვლავ ესპანელი ოსკარ სევილია ლიდერობს – 45:51.22. მას ერთი წამით ჩამორჩება თანამემამულე აიტორ გონსალესი.

**კალათბურთი.** როგორც ჩანს, NBA-ს 80-იანი წლების ვარსკვლავი ირვინ მეჯიკ ჯონსონი დედამიწაზე პირველი ადამიანია, რომელმაც შიდსი დაამარცხა. მორიგ სამედიცინო შემოწმებაზე ექიმებმა დაასკვნეს, რომ სისხლში აივ-ინფექცია არ შეიმჩნევა. თვითონ ჯონსონი თავს შესანიშნავად გრძნობს და მოუთმენლად ელის მომავალ კვირას, როცა მას დიდების დარბაზში მიიღებენ. საზეიმო ცერემონიალზე მეჯიკ ჯონსონს მსოფლიო კალათბურთის კიდევ ერთი ლეგენდა ლარი ბერდი წარადგენს.

**ფორმულა 1.** 27 სექტემბერს ინდიანაპოლისის საჩვენებელ რბოლაზე ამერიკელი სარა ფიშერი "მაკლარენის" საჭეს მიუჯდება. ის გახდება პირველი ქალი, რომელიც 1992 წლის შემდეგ ფორმულა 1-ის საჭეს მართავს. ათი წლის წინათ საკუთარი თავი გამოსცადა იტალიელმა ჯოვანა ამატიმ. უკვე მესამე სეზონია, რაც 21 წლის ამატი ინდის სერიის რბოლებში მონაწილეობს და ორჯერ კვარცხლბეკზეც ავიდა.

## ხსოვნა



**გულისტკივილით ვეთხოვებით ალექსანდრე გვახარიას, ბრწყინვალე აღმოსავლეთმცოდნეს და მართლაც იშვიათ ადამიანს, უფროს მეგობარსა და ჩვენი გაზეთის გულშემატკივარს. ასეთი სულიერი სინატიფით, ღრმა პროფესიული კულტურით და პიროვნებისეული უნიკალობით აღბეჭდილი ადამიანები ხომ სწორედ დღეს სჭირდება ჩვენს ქვეყანას.**

**ცხადია, მოწაფეები გააგრძელებენ მისი შთაგონებით გაკვალულ გზას და გაუფრთხილდებიან იმ სულიერ მემკვიდრეობას, რომელიც ალექსანდრე გვახარიამ მთელ ქართულ კულტურას დაუტოვა.**

## კალენდარი

### 22 სექტემბერი



ნიკ ქეივი

ავსტრალიელი, რომელიც მთელი ცხოვრება დაბორიალობს ადამიანის სულის ყველაზე ბნელ ხვეულებში; გენიალური პოეტი, მუსიკოსი და მწერალი, რომელიც განუწყვეტლივ ეძებს ღმერთს; ჯგუფების The Birthday Party-სა და The Bad Seed-ის დამაარსებელი. მისი მუსიკა შემზარავად სევდიანია; ხშირად მღერის სიკვდილზე, მაგრამ მიაჩნია, რომ ყველანაირი კოშმარებისა და საშინელი იდეებისაგან გათავისუფლების საუკეთესო გზა სიყვარულია.

ცხრამეტი წლის ასაკში მამის სიკვდილმა მასზე განსაკუთრებულად იმოქმედა და აქედან თითქოს ახალი ეტაპი დაიწყო მის ცხოვრებაში. სწორედ მამამ აზიარა ნამდვილ ლიტერატურას, გააცნო ნაბოკოვის "ლოლიტა" და დოსტოევსკის "დანაშაული და სასჯელი". მოგვიანებით, მუსიკოსმა ორივე ნაწარმოები იმ მნიშვნელოვან ცხრა მოვლენას შორის დაასახელა, რომელთაც უდიდესი ზეგავლენა მოახდინეს მის შემოქმედებაზე. დანარჩენ შვიდს რაც შეეხება, ესენია: ბიბლია, ფერწერა, ბობ დილანის Slow Train Coming, ჯონ ლი ჰუკერი, ტერენს მალიკის ფილმი, ერთ დროს მეგობარი გოგო ანიტა ლეინი და ვაჟიშვილი ლუკი.

შარშან, ხუთწლიანი პაუზის შემდეგ, მან მორიგი ალბომი გამოუშვა; No More Shall We Part თაყვანისმცემლებს ცოტა "ბებრულად" ეჩვენათ: "მე კიდევ მგონია, რომ დავბრძენდი", - უპასუხებს კერპი, რომელმაც ათწლეულებს გაუძლო. ოქტომბრის დასაწყისში მუსიკოსი ევროპელ ფანებს შეხვდება. დღეს კი **ნიკ ქეივი** 45 წლის გახდა და ალბათ, სიბერის თანმდევი სიბრძნე მის შემოქმედებას ამის შემდეგ კიდევ უფრო შემოეპარება.

## საკონცერტო დარბაზები

✓ **ჯაზ-ფესტივალი ღამის კლუბ ათინაში**
ოთარ მაღრაძე, ფორტეპიანო
გულიკო ჭანტურია, ვოკალი,
დათო აზირაშვილი, გიტარა
დათო აბულაძე, დასარტყამი ინსტრუმენტები
საღამოს დასასრულს ჯემ-სეიშენი
ფესტივალს დაასრულებს დისკოთეკა
დას: 21 სთ; ფასი 15 ლარი

✓ **თბილისის მუსიკალური ცენტრი**
საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი "შემოდგომის თბილისი" 2002
თბილისის სიმფონიური ორკესტრი
სოლისტი ვიქტორ ტრეტიაკოვი (ვიოლინო)
ჩაიკოვსკი სავიოლინო კონცერტი
სტრავინსკი "კურთხეული გაზაფხული"
დირიჟორი ვახტანგ კახიძე
დას: 19:00 სთ

✓ **დიდ საკონცერტო დარბაზი**
მანანა თოდაძის სოლო კონცერტი
დას: 19:00 სთ

## თეატრები

✓ **მარჯანიშვილის თეატრი**
"ყვარყვარე თუთაბერი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 18:00 სთ; ფასი: 3,6 ლარი

✓ **პატარა თეატრი**
ლაშა ბუღაძის პიესა "კაპრიჩიო", რეჟ. ლევან წულაძე; როლებში: ზუკა პაპუაშვილი, ზურაბ შარია, ნანა შონია
დსა: 18:00 სთ, ფასი 5 ლარი

✓ **აკაკი ხორავას სახ. მსახიობთა სახლი**
"ჩვენი გაზაფხულის შემოდგომა", რეჟ. რეზო გაბრიაძე
დას: 19 სთ; ფასი 5,12 ლარი

## საგამოფენო დარბაზები

✓ **ეროვნული გალერეა**
11 სექტემბრის ამსახველი ფოტოებისა
და ქართველი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა

✓ **ქარვასლა**
ფრანგი ფოტოგრაფების ნამუშევართა გამოფენა.

✓ **TMS**
თანამედროვე ქართველ მხატვართა გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა

## კინოთეატრები

✓ **ამირანი**
"უძილობა", მთავარ როლებში: ალ პაჩინო და რობინ უილიამსი
დას: 13:00; 20:00; 22:00 სთ; ფასი: 5-8 ლარი
სტივენ სპილბერგის "უცხოპლანეტელი"
დას: 15:00; 17:00 სთ.; ფასი: 5-6 ლარი

✓ **რუსთაველი**
"დიდი გამყინვარება", საბავშვო ანიმაციური ფილმი
დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ვნება", მთავარ როლში რიჩად გირი
დას: 19:00; 21:00 სთ; ფასი 7 ლარი

# ორკესტრი სეზონისათვის ემზადება

### "ღირსებააყრილი ორკესტრის დირიჟორს ღირსების ორდენი არ სჭირდება"

თამარ სუხიშვილი

**ლონდონის ფილარმონიის ორკესტრი წელიწადში 130 კონცერტს ატარებს, ბერლინის ფილარმონიის ორკესტრი – 140-ს. ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი ყბადაღებულ საბჭოთა პერიოდში წელიწადში 90 კონცერტს მართავდა. სსრკ-ის დაშლის შემდეგ, დემოკრატიული საქართველოს ჩამოყალიბების პირველ უმძიმეს წლებში – 44-ს. ახლა, დემოკრატიული საქართველოს შენების პერიოდში, ორკესტრს შენობა არა აქვს და ყოველი სეზონის კონცერტების დაგეგმვა გაურკვეველი და უპერსპექტივო საქმეა.**

მიქელაძის სახელობის ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელს, დირიჟორ **ვახტანგ მაჭავარიანს** თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მე-8 სართულზე, ლიფტის მარჯვნივ განთავსებულ მომცრო ოთახში (რომელსაც, თუ გნებავთ, კაბინეტს დავარქმევთ) საღამოს 6 საათისთვის ვესტუმრეთ. ამ დროს დირიჟორი რეპეტიციას ამთავრებდა.



ვახტანგ მაჭავარიანი — მარიკა ამურველაშვილის ფოტო

ჩვენი საუბრის ძირითადი თემა ორკესტრის გასტროლები იყო. ეს გასტროლები ჰოლანდიასა და გერმანიაში აგვისტოს თვეში გაიმართა. ბატონი ვახტანგი ორკესტრის სამომავლო გეგმებზეც გაგვესაუბრა, ქართული ხელოვნების ისტორიის მნიშვნელოვან თარიღს – ქართველი დირიჟორისა და ორკესტრის დამფუძნებლის, ევგენი მიქელაძის 100 წლის იუბილეს რომ უკავშირდება. თუმცა, ჩვენი საუბარი ამით არ ამოწურულა. დირიჟორი ჩვენი დღევანდელობის მტკივნეულ საკითხებსაც შეეხო და, რა თქმა უნდა, პოლიტიკისთვისაც არ აუვლია გვერდი.

მაგრამ სჯობს ყველაფერი გასტროლებიდან დავიწყოთ.

11 აგვისტოს მიქელაძის ორკესტრმა ამსტერდამში "კონცერტ-გებაუს" დარბაზში პირველი კონცერტი გამართა. ორკესტრის რეპერტუარი საკმაოდ მრავალფეროვანი იყო: ალექსი მაჭავარიანის სუიტა ბალეტიდან "ვეფხისტყაოსანი" და "თურქული მარში", შოსტაკოვიჩის "საზეიმო უვერტიურა", მე-2 საფორტეპიანო კონცერტი და მე-10 სიმფონია. პირველ განყოფილებაში მსმენელს სოლისტად მომხიბლავი ამერიკელი პიანისტი ანა-მარია ვერა მოევლინა (იგი ამ რამდენიმე წლის წინ სტუმრობდა თბილისს მევიოლინე ივრი გიტლისთან ერთად); მეორე განყოფილება მთლიანად სიმფონიურ რეპერტუარს დაეთმო.

არანაკლებ რთული და, ამავე დროს, სტილურად სრულიად განსხვავებული პროგრამით წარდგა მეორე დღეს ორკესტრი დახვეწილი გემოვნების ჰოლანდიელი მსმენელის წინაშე – პიანისტმა კატია სკანავიმ ბისზე გაიმეორა რახმანინოვის რაფსოდია პაგანინის თემაზე. სიმფონიურ რეპერტუარში ერთ-ერთი ურთულესი ნაწარმოების, რახმანინოვის სიმფონიური ცეკვების შესრულებამ დარბაზი აღფრთოვანებაში მოიყვანა.

**"ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩვენი ორკესტრი სწორედ "კონცერტ-გებაუს" დარბაზში მიიწვიეს, ეს ხომ უდიდესი ტრადიციების მქონე დარბაზია, აქ დირიჟორობდა გუსტავ მალერი, რომელიც წლების განმავლობაში ედგა სათავეში "კონცერტ-გებაუს" ორკესტრს. აქ კონცერტის გამართვა ძალიან პრესტიჟულია და ჩვენ ეს მიპატიჟება დიდ პატივად აღვიქვით. იმასაც თუ დავუმატებთ, რომ დარბაზი ორივე კონცერტზე გადაჭედილი იყო, ხოლო კონცერტის დამთავრების შემდეგ მსმენელი მთელი ათი წუთის განმავლობაში იდგა ფეხზე და ტაშს უკრავდა, ეს უკვე მიღწევაა,"** – გვეუბნება ვახტანგ მაჭავარიანი და დარწმუნებულია, რომ ამსტერდამის საკონცერტო დარბაზის დირექცია, რომელიც ყოველწლიურად ატარებს კონცერტების საზაფხულო სერიალს, ორკესტრთან თანამშრომლობას გააგრძელებს.

წარმატებით დაწყებული საზაფხულო ტურნე წარმატებითვე დაგვირგვინდა გერმანიის ქალაქ კრეფელდში, სადაც ჩაიკოვსკი და რახმანინოვი შესრულდა.

უნდა ითქვას ისიც, რომ გასტროლებზე წარმოდგენილი რეპერტუარი რამდენიმე თვით ადრე ქართველმა მსმენელმაც კარგად მიიღო. რაც შეეხება უცხოელთა შეფასებას, ამას იქაური პრესის გადათვალიერება და კიოლნის რადიოს მუსიკალური გადაცემაც მოწმობს, უცხოური მასმედია ოპერატიულად გამოეხმაურა ქართული ორკესტრის მიერ გამართულ კონცერტებს. აი, რამდენიმე ამონარიდიც: *"პირველხარისხოვანი ორკესტრი, უპირველეს ყოვლისა, დასარტყამი ინსტრუმენტების შეუდარებელი ჟღერადობით გამოირჩევა", "ბრწყინვალე არფა... ავსებს მრავალფეროვან ჟღერადობას ორკესტრისას, რომელსაც დიდი სიზუსტითა და დამაჯერებლობით ლაღად უძღვება ტემპერამენტით აღსავსე დირიჟორი"...* **("რაინიშე პოსტი")**, *"საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი ორკესტრი მაღალი კლასის საერთაშორისო ორკესტრია", "პულტთან მდგომი მაესტრო ისე იხრება, როგორც მოცეკვავე მენუეტის შესრულების დროს", "ის უხილავი ძაფებით დამაჯერებლად მართავს ორკესტრს"* **("ვესტდოიჩე ცაიტუნგი")**.

თუ გავითვალისწინებთ ორკესტრის დღევანდელ პრობლემებს (პირველ რიგში, რა თქმა უნდა, უბინაობას ვგულისხმობთ), იყო იმის საშიშროება, რომ ორკესტრი ამ გასტროლისთვის ვერ მომზადებულიყო. საზოგადოებისთვის ეს პრობლემები ახალი არ არის, ისინი კარგა ხანია არსებობს და, სამწუხაროდ, უკვე მოუგვარებელ პრობლემებად იქცა.

